

„შეთანხმებულია“
სს „საქართველოს რკინიგზის“
სამეთვალყურეო საბჭოსთან
2023 წლის 21 თებერვლის
№ 1 სხდომის ოქმით

„დამტკიცებულია“
სს „საქართველოს რკინიგზის“
დირექტორთა საბჭოს 2022 წლის
12 დეკემბრის №7/48 დადგენილებით
გენერალური დირექტორი

დავით ფერაძე



შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის
მართვის სისტემა

სარჩევი

თავები	გვერდი
1. ზოგადი დებულებანი	3
2. მართვის სისტემის მიზანი	3
3. პოლიტიკა	4
4. მართვის სისტემაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება.	5
5. მართვის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა	8
6. დამსაქმებლის ვალდებულებები	8
6.1. გენერალური დირექტორისა და ფილიალების დირექტორების სახით, თავისი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში ვალდებულია	8
6.2. დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან	10
6.3. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან	11
7. დარგობრივი დეპარტამენტების და სტრუქტურული ერთეულების საინჟინრო ტექნიკური ნაწილის (მთავარი ინჟინერი, სამსახური, განყოფილება, ცენტრი) მოვალეობები	12
8. სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების მოვალეობები	13
9. მთავარი მექანიკოსს, მთავარ ელექტრიკოსს ვალდებულია	13
10. ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელს კვსრება	14
11. შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სამსახური	14
12. დარგობრივი დეპარტამენტების და სტრუქტურული ერთეულების შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის საკითხებში განსაზღვრული სპეციალისტების/პასუხისმგებელი პირების ვალდებულებები	15
13. სტრუქტურული ერთეულების შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვის საკითხებში განსაზღვრული სპეციალისტების/პასუხისმგებელი პირების ვალდებულებები	16
14. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით საკითხებში დასაქმებულთა მონაწილეობა	16
15. პერსონალის მომზადება და სწავლება შრომის უსაფრთხოების საკითხებში	19
16. შრომის უსაფრთხოების შესავალი და სამუშაო ადგილზე ინსტრუქტაჟის პროგრამა, მიზანი და ჩატარების წესი	22
17. გარემოსდაცვითი სწავლება/ინსტრუქტაჟის ჩატარება ამ კუთხით დასაქმებულ თანამშრომლებთან	24
18. შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის საწყისი ანალიზი	24
19. მავნე საწარმოო ფაქტორების, პროფესიული რისკების და მათი მომუშავეებზე ზემოქმედების აღრიცხვის თანმიმდევრობა, უსაფრთხოების ადეკვატური ზომების დაგეგმვა	25
20. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გაცემა და გამოყენების კონტროლი	26
21. ახლად მიღებული პერსონალის სამუშაოების წარმოებაზე დაშვების წესი, რომელზეც საჭირო არის დამატებითი შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები.	32
22. განწესის გაცემის წესი	32
23. საგანგებო სიტუაციები	33
24. სს“საქართველოს რკინიგზაზე“ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების ინსტრუქცია	36
25. პროფესიული დაავადებების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესი	42
26. შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის კონტროლი	45
27. გარემოსდაცვითი მდგომარეობის კონტროლი	50
28. სამუშაო ადგილებზე და ქვედანაყოფებში შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მართვის სისტემის განხორციელების აუდიტი	51
29. შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მართვის სისტემის დოკუმენტების მართვა	54
30. დასკვნითი დებულებანი.	54
31. დანართები	54

1. ზოგადი დებულებანი

1.1. წინამდებარე შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვის სისტემა (შემდგომში - „მართვის სისტემა“) შემუშავებულია საქართველოს შრომის კოდექსის, საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის, საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებების, საერთაშორისო სტანდარტის ISO 45001-ის, საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის ILO-OSH 2001 რეკომენდაციებისა და შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვით სფეროში არსებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

1.2. წინამდებარე მართვის სისტემა წარმოადგენს საერთო მართვის სისტემის ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფს რისკების მართვას შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სფეროში და დაკავშირებულია სს „საქართველოს რკინიგზის“ (შემდგომში - „კომპანია“) საქმიანობასთან.

1.3. კომპანიის მმართველი ორგანოები ქმნიან შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვის სისტემას.

1.4. წინამდებარე მართვის სისტემა განსაზღვრავს კომპანიაში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვის სტრუქტურას და წესს, ემსახურება სამართლებრივ და ორგანიზაციულ-მეთოდური მმართველობის ფორმირების საფუძველს.

1.5. მართვის ობიექტებია შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა, როგორც პერსონალის შრომითი საქმიანობის დროს ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შენარჩუნების სისტემა, რომელიც მოიცავს სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, ორგანიზაციულ-ტექნიკურ, სანიტარულ-ჰიგიენურ, გამაჯანსაღებელ-პროფილაქტიკურ, სარეაბილიტაციო და სხვა ღონისძიებებს, ასევე იმ გარემოს მდგომარეობის შენარჩუნებასა და მასზე ზრუნვას, სადაც ხორციელდება ესა თუ ის საქმიანობა კომპანიის მიერ, გარდა ამისა კომპანიის მხრიდან იმ სანებართვო და სხვა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებას, რომელიც რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

2. მართვის სისტემის მიზანი

2.1. წინამდებარე მართვის სისტემის მიზანია კომპანიაში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებულთა დაცვას მავნე და სახიფათო სამუშაო ფაქტორებისგან, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას. კონკრეტულად გარემოს დაცვის სისტემის ჩამოყალიბების მიზანია, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სს „საქართველოს რკინიგზის“ დაქვემდებარებაში არსებულ ობიექტებზე გაცემული ლიცენზიების, ნებართვების, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებებისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებებით დადგენილი პირობების შესრულების მონიტორინგი.

2.2. წინამდებარე მართვის სისტემა წარმოადგენს ურთიერთმოქმედ ან/და ურთიერთდაკავშირებულ ელემენტების ნაკრებს (პოლიტიკა, ორგანიზება, დაგეგმვა - დანერგვა და შეფასება) და განსაზღვრავს პროცედურებს ამ მიზნის მისაღწევად.

2.3. მართვის სისტემა იქმნება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა საფუძველზე.

3. სს „საქართველოს რკინიგზის“ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის პოლიტიკა

- ჩვენი მთავარი მიზანია ოპერაციების უსაფრთხოდ და საიმედოდ შესრულება, საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით. სამუშაოს შესრულების საუკეთესო მაჩვენებლების და შედეგების მიღწევასთან ერთად, ჩვენთვის უმთავრესია დავიცვათ ჩვენი დასაქმებულების ჯანმრთელობა და საწარმოო პროცესის უსაფრთხოება.
- ჩვენ ვნერგავთ თითოეული ინციდენტის კვლევის პროცედურას, რათა ამგვარ შემთხვევაში გამოვავლინოთ მათი გამომწვევი ფაქტორები და მიზეზები, იმისათვის, რომ მივიღოთ სათანადო ზომები მომავალში მათ აღსაკვეთად და მაქსიმალურად შევამციროთ შესაძლო არასასურველი შედეგები.
- ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს ყველა არსებულ საწარმოში დასაქმებულ თანამშრომლებსა და ჩვენს კონტრაქტორებს, რომ განაცხადონ ყველა შესაძლო ინციდენტის შესახებ. გარდა ამისა, ჩვენ შემოვიღებთ და დავნერგავთ პრაქტიკას მასზე, რომ ყოველთვიურად ხდებოდეს მომხდარი ინციდენტების გაანალიზება და კვარტალში ერთხელ მოვამზადებთ ტენდენციის ამსახველ ანგარიშებს. აღნიშნულ პროცესში ჩაერთვებიან ექსპლუატაციის, ტექნიკური მომსახურების, პროექტების, საინჟინრო, ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სპეციალისტები.
- ჩვენ ვაანალიზებთ უშუალო და სისტემურ მიზეზებს, ვავლენთ პრობლემურ არეებს, ვათანხმებთ და ვანხორციელებთ გამოსასწორებელ ღონისძიებებს. ჩვენ ვაგრძელებთ კომპანიაში დასაქმებულებისა და კონტრაქტორების ცნობიერების ამაღლებას მიღებული გამოცდილებისა და უსაფრთხოების ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა პოტენციურად სერიოზული შედეგების მქონე ინციდენტები, მათ შორის სიმაღლეზე, დახურულ სივრცეში, ელექტრო, ტრანსპორტირებასთან, მანუალურ მანიპულიაციებთან, ბუნებრივ მომწამვლელ აირებთან, სახიფათო ნარჩენებთან და სხვა - დაკავშირებული რისკებთან.
- ჩვენ გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება და გავაუმჯობესოთ ჩვენი გარემოსდაცვითი საქმიანობის მაჩვენებლები.
- ჩვენ ვახორციელებთ კონკრეტულ ქმედით ღონისძიებებს გარემოს დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. ვმოქმედებთ ლოზუნგით - „მწვანე ჩვენი არჩევანია“ და მნიშვნელოვანი წვლილი შეგვაქვს სახელმწიფოს ყველა წამოწყებაში გარემოსდაცვითი პოლიტიკის გააქტიურების მიმართულებით.



4. მართვის სისტემაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება.

- 4.1. **დამსაქმებელი** - სს „საქართველოს რკინიგზა“, რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო;
- 4.2. **დასაქმებული** - ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისათვის (სს „საქართველოს რკინიგზა“-თვის) ასრულებს გარკვეულ სამუშაოს;
- 4.3. **სხვა პირი** - პირი, რომელიც დამსაქმებლის ნებართვით ან სხვა ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს სამუშაოს ან ახორციელებს საქმიანობას, აგრეთვე მიმწოდებელი, ვიზიტორი, საწარმოო/სამუშაო პრაქტიკის განმახორციელებელი პირი და სხვა;
- 4.4. **სამუშაო სივრცე** - ყველა სამუშაო ადგილისა და იმ ტერიტორიის ერთობლიობა, სადაც დასაქმებული და სხვა პირი იმყოფებიან/გადაადგილდებიან სამსახურებრივი დანიშნულებით და რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ დამსაქმებელი აკონტროლებს;
- 4.5. **სამუშაო ადგილი** - კონკრეტული ადგილი, სადაც დასაქმებული და სხვა პირი უშუალოდ ახორციელებენ შრომით საქმიანობას;
- 4.6. **შრომის უსაფრთხოება** - დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ფუნქციური შესაძლებლობების სამუშაოს უარყოფითი ასპექტებისაგან დაცვის სისტემა, რომელიც ჯანსაღი და უსაფრთხო საქმიანობის პირობებს ქმნის და მოიცავს სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, ორგანიზაციულ-ტექნიკურ, სანიტარიულ-ჰიგიენურ, სამკურნალო-პროფილაქტიკურ, სარეაბილიტაციო და სხვა ღონისძიებებს;
- 4.7. **გარემოს დაცვა** - ადმინისტრაციულ, სამეურნეო, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ და საზოგადოებრივ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოში არსებული ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნებას და აღდგენას;
- 4.8. **რეგულირების ობიექტი** - სს „საქართველოს რკინიგზის“ დაქვემდებარებაში არსებული ობიექტი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზიის/ნებართვის მფლობელი (მათ შორის საქმიანობის სუბიექტი) რომელზეც ვრცელდება გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი მოთხოვნები;
- 4.9. **პრევენცია** - იმ ღონისძიებებისა და პროცედურების სისტემა, რომლებსაც ახორციელებს დამსაქმებელი ან რომელთა განხორციელებაც დაგეგმილი აქვს დამსაქმებელს საქმიანობის ყველა მიმართულებით პროფესიული რისკების, სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების, პროფესიული დაავადებების ან შრომითი საქმიანობის გამო ჯანმრთელობისათვის სხვაგვარი ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად ან ზიანის შესამცირებლად;
- 4.10. **შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელი** - პირი, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი საწარმოს დასაქმებულების ინტერესებს შრომის უსაფრთხოების საკითხებში;
- 4.11. **შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი** - დამსაქმებლის მიერ დანიშნული/მოწვეული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას;

- 4.12. **საფრთხე** – საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის (მანქანა-დანადგარების, მასალების, ნივთიერებების, სამუშაო მეთოდების, გარემო პირობების ან შრომის ორგანიზების) თავისებურებები, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობას, გამოიწვიოს მისი დაავადება ან მის ჯანმრთელობას სხვა პრობლემები შეუქმნას;
- 4.13. **რისკი** – საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის ფაქტორების გავლენით დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების ან მისთვის სხვაგვარი ზიანის მიყენების ალბათობის ხარისხი, შესაბამისი შედეგის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით;
- 4.14. **მძიმე სამუშაო** – სამუშაო პროცესი, რომელიც ზემოქმედებას ახდენს უპირატესად ადამიანის ორგანიზმის საყრდენ-მამოძრავებელ აპარატსა და ფუნქციურ სისტემებზე (გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი და სხვა), რომლებიც უზრუნველყოფს მის საქმიანობას, და რომელიც ხასიათდება ფიზიკური დინამიკური დატვირთვით, ასაწევი და გადასაადგილებელი ტვირთის მასით, სტერეოტიპული სამუშაო მოძრაობების საერთო რაოდენობით, სტატიკური დატვირთვის სიდიდით, სამუშაო პოზის ფორმით, სხეულის დახრის ხარისხით და სივრცეში გადაადგილებით;
- 4.15. **მავნე სამუშაო** – საწარმოო გარემო ან/და სამუშაო პროცესი, რომლის ადამიანზე ზემოქმედებას გარკვეულ პირობებში (ინტენსივობა, ხანგრძლივობა და სხვა) შეუძლია გამოიწვიოს პროფესიული დაავადება, შრომისუნარიანობის დროებითი ან მდგრადი დაქვეითება, გაზარდოს სომატური და ინფექციური დაავადებების სიხშირე და დაარღვიოს შთამომავლობის ჯანმრთელობა;
- 4.16. **საშიშპირობებიანი სამუშაო** – საწარმოო გარემო ან/და სამუშაო პროცესი, რომელიც შეიძლება გახდეს მწვავე დაავადების, ადამიანის ჯანმრთელობის უეცარი, მკვეთრი გაუარესების ან გარდაცვალების მიზეზი;
- 4.17. **მომეტებული საფრთხე** – საფრთხე, რომელიც ნაკლები რისკის შემცველი სხვა საშუალებებით ვერ ჩანაცვლდება;
- 4.18. **მავნე საწარმოო ფაქტორები** – საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის ფაქტორები, რომელთა ადამიანზე ზემოქმედებას გარკვეულ პირობებში (ინტენსივობა, ხანგრძლივობა და სხვა) შეუძლია გამოიწვიოს პროფესიული დაავადება, შრომისუნარიანობის დროებითი ან მდგრადი დაქვეითება;
- 4.19. **პროფესიული რისკი** – პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის ფაქტორების გავლენით დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობისათვის უშუალო და პირდაპირი ზიანის მიყენების ალბათობის ხარისხი, შესაბამისი შედეგის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით;
- 4.20. **რისკის შეფასება** – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ მეთოდოლოგიას და მოიცავს სამუშაო სივრცეში სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირებას, ანალიზს, შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრას;
- 4.21. **საფრთხის შემცველი ფაქტორები** – საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას დასაქმებულის ან სხვა პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და გამოიწვიოს პროფესიული დაავადება ან ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება;
- 4.22. ა) **ფიზიკური ფაქტორი** – საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის ფაქტორი ან ფაქტორთა ერთობლიობა, რომელმაც შეიძლება ფიზიკური შეხებით ან მის გარეშე ფიზიკური ზიანი მიაყენოს დასაქმებულს და რომელიც შეიძლება გახდეს მწვავე დაავადების, ჯანმრთელობის

უეცარი, მკვეთრი გაუარესების ან გარდაცვალების მიზეზი, რაოდენობრივი მახასიათებლებისა და მოქმედების ხანგრძლივობის შესაბამისად;

- 4.23. **ბ) ქიმიური ფაქტორი** – სამუშაო სივრცეში არსებული ქიმიური ნივთიერებები და სუბსტანციები, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და გამოიწვიოს შრომისუნარიანობის დროებითი ან მუდმივი დაკარგვა;
- 4.24. **გ) ბიოლოგიური ფაქტორი** – საწარმოო გარემოში არსებული პათოგენური და არაპათოგენური მიკროორგანიზმები, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და გამოიწვიოს შრომისუნარიანობის დროებითი ან მუდმივი დაკარგვა;
- 4.25. **სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევა** – სამუშაო პროცესში ან სამუშაო პროცესთან დაკავშირებით მომხდარი შემთხვევა, რომელსაც შედეგად მოჰყვა დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან დაკარგვა, გარდაცვალება ან მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;
- 4.26. **საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევა** – უბედური შემთხვევის გამო დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვით 3 დღიდან 40 დღემდე;
- 4.27. **მძიმე უბედური შემთხვევა** – უბედური შემთხვევის გამო მუდმივი შრომისუნარიანობის განვითარება ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან/და დროებითი შრომისუნარიანობის განვითარება 40 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით;
- 4.28. **ფატალური უბედური შემთხვევა** – უბედური შემთხვევის გამო ადამიანის (დასაქმებულის ან სხვა პირის) სამუშაო ადგილზე ან უბედური შემთხვევიდან 1 წლის განმავლობაში გარდაცვალება;
- 4.29. **მასობრივი უბედური შემთხვევა** – უბედური შემთხვევის გამო 3 ან მეტი ადამიანის დაშავება, მათ შორის 1 მძიმე უბედური შემთხვევა ან 1 ფატალური უბედური შემთხვევა;
- 4.30. **დაზარალებულ(ებ)ი** – დასაქმებულ(ებ)ი ან სხვა პირ(ებ)ი, რომლებმაც უბედური შემთხვევის შედეგად მიაღწია ზიანი;
- 4.31. **საშიში შემთხვევა** – იდენტიფიცირებადი მდგომარეობა (ტექნიკური ინციდენტი, სიმაღლიდან ვარდნა, აფეთქება, ხანძარი, მავნე ნივთიერების გაჟონვა და სხვა), რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მატერიალური ზიანი ან/და სხვა არასასურველი შედეგები;
- 4.32. **პროფესიული დაავადება** – დასაქმებულის მწვავე ან ქრონიკული დაავადება, რომელიც ვითარდება საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის საფრთხის შემცველი ფაქტორების ზემოქმედებით, იწვევს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ან/და პროფესიული შრომისუნარიანობის შეზღუდვას მოკლე პერიოდში ან ხანგრძლივად და განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით;
- 4.33. **ინდივიდუალური დაცვის საშუალებები** – ტექნიკური და სხვა საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ინდივიდუალურად, დასაქმებულზე საფრთხის შემცველი ფაქტორების გავლენის შესამცირებლად ან თავიდან ასაცილებლად;
- 4.34. **კოლექტიური დაცვის საშუალებები** – ტექნიკური და საინჟინრო საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც კონსტრუქციულად და ფუნქციურად დაკავშირებულია საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესთან და განკუთვნილია საფრთხის შემცველი ფაქტორების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად;
- 4.35. **ზედამხედველი ორგანო** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების განმახორციელებელი სამსახური;

- 4.36. კომპანიის ობიექტები – სს საქართველოს რკინიგზის სტრუქტურულ ერთეულები და ობიექტები (სადგურები, დეპოები და ა.შ);
- 4.37. სტრუქტურული ერთეული - სს „საქართველოს რკინიგზის“ დეპარტამენტების (სამსახურების) დაქვემდებარებაში არსებული მსხვილი სახაზო ქვედანაყოფები - სამმართველოები, დეპოები, განმკარგულებელი სადგურები, რეგიონული ცენტრები და სხვ.;
- 4.38. სტრუქტურული ქვედანაყოფი - სტრუქტურული ერთეულის დაქვემდებარებაში არსებული დანაყოფი (რეგიონი, ცენტრი, საამქრო, სადგური, უბანი, პუნქტი, რაიონი, ქვესადგური და სხვა);

5. მართვის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა

5.1. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სისტემის მართვის სტრუქტურა:

- 5.1.1. ორგანიზაციულად შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მართვის სისტემა არის სამდონიანი;
- 5.1.2. პირველ დონეზე, თავის კომპეტენციებისა და მოვალეობის ფარგლებში, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვას ახორციელებს დამსაქმებელი, კომპანიის გენერალური დირექტორისა და ფილიალების დირექტორების სახით;
- 5.1.3. მეორე დონეზე, თავის კომპეტენციებისა და მოვალეობის ფარგლებში, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვას ახორციელებს კორპორატიული მართვის დეპარტამენტის შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია მართვის სისტემის მუშაობის ორგანიზებაზე.
- 5.1.4. მესამე დონეზე, თავის კომპეტენციებისა და მოვალეობის ფარგლებში, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვას ახორციელებენ დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელები.
- 5.1.5. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ორგანიზების წესი განისაზღვრება კომპანიის შინაგანაწესით, თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და წინამდებარე მართვის სისტემით.

6. დამსაქმებლის ვალდებულებები (მოვალეობების გადანაწილება შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სფეროში ხელმძღვანელ პირებს შორის)

6.1. კომპანიის სიდიდის, დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და გარემოსდაცვითი მდგომარეობის შესანარჩუნებლად დამსაქმებელმა, გენერალური დირექტორისა და ფილიალების დირექტორების სახით, დასაქმებულთა ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკების შესამცირებლად/ აღმოსაფხვრელად:

6.1.1. განსაზღვროს შიდა ბრძანებით პროფესიული რისკების შეფასების კომისია შემდეგი საერთო პრინციპების საფუძველზე:

- ა. გამოავლინოს და აღრიცხოს რისკის შემცველი სამუშაო ადგილები (დანართი 1-ის შესაბამისად);
- ბ. იზრუნოს არსებული რისკების თავიდან აცილებაზე;
- გ. შეაფასოს ის რისკები და საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელია;

დ. იზრუნოს საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრაზე;

ე. თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით ჩაანაცვლოს საფრთხის შემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით;

6.1.2 სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინებით, კურატორი დირექტორის ბრძანების საფუძველზე განსაზღვროს ის პირები, რომლებსაც დაეკისრებათ პასუხისმგებლობა სახანძრო უსაფრთხოებაზე და ასევე ის პირები, რომლებიც უფლებამოსილი იქნებიან, ზედამხედველობა გაუწიონ და არ დაუშვან სამუშაოზე დასაქმებული ან/და სხვა პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში იმყოფება;

6.1.3 დასაქმებულთა ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების პრევენციის მიზნით, სს „საქართველოს რკინიგზის“ შინაგანაწესის შესაბამისად, განსაზღვროს იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც არ დაემორჩილებიან 6.1.2 პუნქტის შესაბამისად, ბრძანებით განსაზღვრულ პასუხისმგებელი პირების კანონიერ მოთხოვნას;

6.1.4 დასაქმებულთა ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების პრევენციის მიზნით, სს „საქართველოს რკინიგზის“ შინაგანაწესის შესაბამისად, განსაზღვროს იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც 6.1.3 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული არიან უფლებამოსილ პირებად და არაკეთილსინდისიერად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას;

6.1.5 დაიცვას შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და წესები;

6.1.6 იზრუნოს, რომ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს;

6.1.7 ობიექტის სიდიდის, დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათის, სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, უზრუნველყოს დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) ჩატარება და მათ გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდება;

6.1.8 იზრუნოს რომ ფიზიკურმა, ქიმიურმა და ბიოლოგიურმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას საშიშროება არ შეუქმნას;

6.1.9 კონტროლზე აიყვანოს სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევები, პროფესიული დაავადებების შემთხვევები, საშიში შემთხვევები. მათი რეგისტრაცია, მოკვლევა და ანგარიშგება.

6.1.10 მუშაობის პერიოდში დასაქმებული უზრუნველყოს უბედური შემთხვევის დაზღვევით დამსაქმებლის ხარჯებით;

6.1.11 გასწიოს სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებასთან და სანიტარიულ-ჰიგიენურ ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯები;

6.1.12 საჭიროებებიდან გამომდინარე, გასწიოს სამუშაო სივრცეში გარემოსდაცვით ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯები;

6.1.13 დამსაქმებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევა გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო ან რომლებიც არ ექვემდებარებოდა დამსაქმებლის კონტროლს ან ისეთი მოსალოდენელი გარემოებებით, რომელთა თავიდან აცილება, დამსაქმებლის შესაბამისი ძალისხმევის მიუხედავად, ვერ მოხერხდა. აღნიშნული გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრება დამსაქმებელს;

6.1.14 თუ დამსაქმებელი, შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, ნიშნავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს ან/და საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად ნიშნავს გარემოსდაცვით მმართველს, ან შესაბამისი მომსახურების გასაწევად იწვევს სხვა უფლებამოსილ პირს (გარე მომსახურება), ეს არ ათავისუფლებს ხელმძღვანელ პირებს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

6.2 ობიექტის სიდიდის, დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად, თავისი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან:

6.2.1 ზედამხედველობა გაუწიონ, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელ პირებს, იმ პასუხისმგებელი პირების შერჩევის პროცესში, რომლებიც ვალდებული იქნებიან, არ დაუშვან სამუშაოზე დასაქმებული ან/და სხვა პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში იმყოფება;

6.2.2 ზედამხედველობა გაუწიონ, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელ პირებს, იმ პირების შერჩევის პროცესში, რომლებსაც დაეკისრებათ პასუხისმგებლობა სახანძრო უსაფრთხოებაზე;

6.2.3 სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინებით, 6.1.2 პუნქტის შესაბამისად პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა;

6.2.4 გაეცნონ და სათანადო რეაგირება მოახდინონ - შრომის პირობების ინსპექტორების მიერ მომზადებულ შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის კონტროლის და სამუშაო ადგილებზე საწარმოო გარემო ფაქტორების გაზომვის ანგარიშებზე - აიყვანონ საკითხი პირად კონტროლზე, გასცენ წერილობითი მითითებები, გაითვალისწინონ შესაბამისი ფინანსური ხარჯები ბიუჯეტში და საჭიროების შემთხვევაში წერილობით აცნობონ უშუალო ხელმძღვანელს;

6.2.5 ორგანიზება გაუწიონ პროფესიული რისკების შეფასების კომისიის მუშაობას;

6.2.6 დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებში დასაქმებულებისთვის უზრუნველყონ სწავლების თემატური გეგმების შემუშავებას;

6.2.7 რეგულარულად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით, დაგეგმონ და ორგანიზება გაუწიონ შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის მდგომარეობის შემოწმებას, შესაბამისი დოკუმენტირების უზრუნველყოფით.

6.2.8 უზრუნველყონ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და სხვა დამცავი საშუალებებით სტრუქტურული ერთეულების დროული მომარაგება, განახორციელონ კონტროლი მათ მდგომარეობაზე, მოვლა-შენახვისა და გასუფთავების პროცესებზე;

6.2.9 გარემოს დაცვის სამსახურის მიერ შემუშავებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით გარკვეული პერიოდულობით უზრუნველყონ რეგულირებას დაქვემდებარებული ობიექტების გარემოსდაცვითი კუთხით შემოწმება:

- ა. საქართველოს გარემოსდაცვით სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით;
- ბ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში მონიტორინგის დაგეგმვისა და კოორდინაციის განხორციელების მიზნით;
- გ. გარემოს დაბინძურების ფაქტების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით;

დ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში გაცემული ლიცენზიების, ნებართვების, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებებისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებათა მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრულფასოვნად შესრულების მიზნით.

6.2.10 ამასთანავე, უზრუნველყონ პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების მონიტორინგი.

6.3 ობიექტის სიდიდის, დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად, თავისი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში, **სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირი** ვალდებულია:

6.3.1 შეარჩიოს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები და დარგობრივი დეპარტამენტის უფროსის მეშვეობით წარუდგინოს შესაბამის დირექტორს უფლებამოსილების განსაზღვრისათვის;

6.3.2 შეარჩიოს ის პირები რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან არ დაუშვან სამუშაოზე, ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები და დარგობრივი დეპარტამენტის უფროსის მეშვეობით წარუდგინოს შესაბამის დირექტორს უფლებამოსილების განსაზღვრისათვის. ხოლო, უფლებამოსილი პირის მიერ, ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის გამოვლენისას ან გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში გასატარებელ ღონისძიებებს არეგულირებს სს „საქართველოს რკინიგზის“ შინაგანაწესი;

6.3.3 მოამზადოს, 6.1.3 პუნქტით გათვალისწინებული პირების უფლებამოსილების განსაზღვრისათვის საჭირო მოხსენებითი ბარათი, ბრძანების პროექტი და დარგობრივი დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით მისცეს შესაბამისი მსვლელობა;

6.3.4 მოახდინონ - შრომის პირობების ინსპექტორების მიერ მომზადებულ შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის კონტროლის და სამუშაო ადგილებზე საწარმოო გარემო ფაქტორების გაზომვის ანგარიშებში/ოქმებში დაფიქსირებული დარღვევების, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელთან წერილობით შეთანხმების საფუძველზე, გამოსწორება.

6.3.5 ხელი შეუწყონ პროფესიული რისკების შეფასების კომისიის მუშაობას და უზრუნველყონ კომისიისთვის ნორმალური სამუშაო გარემოს შექმნა;

6.3.6 უზრუნველყონ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და სხვა დამცავი საშუალებების მოვლა-შენახვის და გასუფთავების პროცესების ორგანიზება, ასევე გააკონტროლონ მათი სწორად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში მათი დროული შეცვლა;

6.3.7 უზრუნველყონ დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟების ჩატარება და მათ გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდება:

6.3.7.1 შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი ნორმებისა და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ;

6.3.7.2 სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ;

6.3.7.3 უზრუნველყონ ინსტრუქტაჟის ჩატარება საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი სწორად განხორციელების შესახებ;

- 6.3.7.4 არსებული საფრთხეებისა და რისკების, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.
- 6.3.8 უზრუნველყონ დასაქმებულთათვის შემდეგი ინსტრუქტაჟების ჩატარება:
- 6.3.8.1 დასაქმებულების დაქირავებისას, მათ მიერ სამუშაოს შესრულების დაწყებამდე;
- 6.3.8.2 დასაქმებულთა სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანისას/სამუშაოს შეცვლისას, სტუდენტებისათვის და მოვლინებული თანამშრომლებისთვის;
- 6.3.8.3 ახალი ტექნოლოგიური პროცესისა და სამუშაო მეთოდების დანერგვამდე, ახალი მანქანა-დანადგარების გამოყენების ან/და საწარმოო პროცესის ცვლილების დაწყებამდე;
- 6.3.8.4 განმეორებით, განსაზღვრული გეგმის შესაბამისად ან/და საჭიროების მიხედვით.
- 6.3.9 საწარმოს სიდიდისა და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირს მიაწოდონ ინფორმაცია, რომელიც შეეხება:
- 6.3.9.1 მოსალოდნელი რისკებს, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდნენ;
- 6.3.9.2 საგანგებო სიტუაციებს, საევაკუაციო გეგმებს და მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში მისაღებ ზომებს;
- 6.3.9.3 აკრძალვებს, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოში შესვლასთან, იქ ყოფნასთან და ისეთი სამუშაოს შესრულებასთან, რომელიც საფრთხეს უქმნის დასაქმებულის ან/და სხვა პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;
- 6.4 დასაქმებულთათვის სწავლება (ტრენინგები) და ინსტრუქტაჟები ტარდება სამუშაო საათებში. ტრენინგების გამო გაცდენილი სამუშაო საათები ითვლება საპატიოდ და ანაზღაურდება დამსაქმებლის მიერ, სამუშაო საათების პროპორციულად. სწავლება (ტრენინგები) და ინსტრუქტაჟი(ებ)ი დასაქმებულებს უტარდებათ დამსაქმებლის ხარჯებით.
- 7 დარგობრივი დეპარტამენტების და სტრუქტურული ერთეულების საინჟინრო ტექნიკური ნაწილის (მთავარი ინჟინერი, სამსახური, განყოფილება) მოვალეობები.**
- 7.2 ხელმძღვანელობს სტრუქტურული ერთეულების და ქვედანაყოფების მუშაობას შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სფეროში;
- 7.3 ახორციელებს პროფესიული და გარემოსდაცვითი რისკების მართვას შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სპეციალისტებთან ერთად;
- 7.4 ორგანიზებას უწევს კომპანიის სტრუქტურულ ერთეულებში და ქვედანაყოფებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების დანერგვას და აწარმოებს მათი განხორციელების კონტროლს;
- 7.5 უზრუნველყოფს დადგენილ ვადებში სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების რეკომენდაციების, დადგენილებებისა და მოთხოვნების შესრულებას;
- 7.6 უზრუნველყოფს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო მდგომარეობას, არსებული წესებისა და უსაფრთხოების სტანდარტების და მოთხოვნების შესაბამისად;
- 7.7 მონაწილეობს ინციდენტების და უბედური შემთხვევების, გარემოსდაცვითი დარღვევების, ასევე პროფესიული დაავადებების მოკვლევაში და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად ღონისძიებების დაგეგმვაში;

- 7.8 მონაწილეობას იღებს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ინსტრუქციების შემუშავება-გადასინჯვაში სხვადასხვა პროფესიებისთვის დამახასიათებელ სამუშაოებთან მიმართებაში;
- 7.9 საგანგებო მდგომარეობის დროს ღებულობს პერსონალის სიცოცხლის შენარჩუნებისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის აუცილებელ ზომებს.

8 სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების მოვალეობები.

8.2 სამუშაო სივრცეში სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები (სამუშაოთა მწარმოებლები) ვალდებული არიან:

- 8.2.1 უზრუნველყონ ჯანსაღი და უსაფრთხო შრომის პირობები დაქვემდებარებულ ქვედანაყოფში;
- 8.2.2 უზრუნველყონ გარემოსდაცვითი მდგომარეობის შენარჩუნება სამუშაო გარემოში;
- 8.2.3 უზრუნველყონ დაქვემდებარებული ქვედანაყოფის წევრების მიერ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების კონტროლი;
- 8.2.4 არ დაუშვან დამოუკიდებლად სამუშაოს შესასრულებლად ქვედანაყოფის მუშაკები, რომლებსაც არ გაუვლიათ შრომის უსაფრთხოების სწავლება/ინსტრუქტაჟი, ცუდად აითვისეს სწავლების შინაარსი ან/და ვერ დაეუფლნენ უსაფრთხო მუშაობის მეთოდებს;
- 8.2.5 კონტროლი განახორციელონ ქვედანაყოფის მუშაკების მიერ შინაგანაწესის, გარემოსდაცვითი მოთხოვნებისა და შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციების დაცვაზე;
- 8.2.6 უზრუნველყონ სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების პირველადი, მიმდინარე, მიზნობრივი, არაგეგმიური და ასევე სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების ტექნიკის ინსტრუქტაჟების/სწავლებების ჩატარება;
- 8.2.7 უზრუნველყონ გარემოსდაცვითი ინსტრუქტაჟის ჩატარება;
- 8.2.8 უზრუნველყონ დაქვემდებარებული ქვედანაყოფის ინსტრუქტაჟის ჟურნალის შენახვა სამუშაო ადგილზე;
- 8.2.9 უზრუნველყონ უბედური შემთხვევის დროს პირველადი დახმარება და უბედური შემთხვევის შესახებ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ინფორმირება;
- 8.2.10 არ დაუშვან ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური და ფსიქოტროპული ზემოქმედების ქვეშ მყოფი მუშაკების ყოფნა სამუშაო სივრცეში, ან გონივრული ეჭვის საფუძველზე შეამოწმონ ალკოტესტზე (საქართველოს კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და მე-11 მუხლის „მ“ პუნქტის ვალდებულებებიდან გამომდინარე);
- 8.2.11 სამუშაოს დაწყებამდე შეამოწმონ სამუშაო ადგილი, აღმოფხვრან გამოვლენილი დარღვევები, ან/და მოახდინონ ხელმძღვანელის ინფორმირება ხსენებულის თაობაზე.

9 მთავარი მექანიკოსი, მთავარი ელექტრიკოსი ვალდებული არიან:

- 9.2 მანქანა-დანადგარების, საწარმოო აღჭურვილობის, ხელსაწყოების, მაღალ წნევაზე მომუშავე ქვაბების, ელექტროდანადგარების ტექნიკური მდგომარეობის გამართულობის უზრუნველსაყოფად განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები;
- 9.3 დააორგანიზონ ინსტრუქტაჟი/სწავლება პერსონალისთვის, რომლებიც ემსახურებიან მანქანა-დანადგარებსა და ელექტრო დანადგარებს;

- 9.4 მიიღონ მონაწილეობა იმ უბედური შემთხვევების მოკვლევაში, რომელიც დაკავშირებულია მანქანა-დანადგარებისა და ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციასთან;
- 9.5 დააწესონ კონტროლი ამწე დანადგარების, ამწე მანქანების და მაღალ წნევაზე მომუშავე ქვაბების უსაფრთხო ექსპლუატაციაზე.

10 ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურს ეკისრება:

- 10.2 თანამშრომელი სამსახურში მიღებამდე გააგზავნოს სამედიცინო შემოწმების გასავლელად, ასევე შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან ინსტრუქტაჟის გასავლელად;
- 10.3 გააცნოს კომპანიის შინაგანაწესი;
- 10.4 პერსონალის შერჩევისას გაითვალისწინოს შრომის პირობებიდან გამომდინარე ცალკეული კატეგორიების შეზღუდვები.

11 შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სამსახური

- 11.2 შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი და შრომის პირობების (მთავარი) ინსპექტორები სერტიფიცირებულნი უნდა იყვნენ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სრული აკრედიტებული პროგრამის სერტიფიკატით საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, გარემოსდაცვით სპეციალისტებს გავლილი უნდა ჰქონდეთ გარემოსდაცვითი მმართველის პროგრამა.
- 11.3 შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თავის საქმიანობაში თანამშრომლობას ახორციელებს კომპანიის სხვა სტრუქტურულ დანაყოფებთან, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენლებთან და სახელმწიფო ზედამხედველობის/კონტროლის ორგანოებთან.
- 11.4 შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სამსახური ახორციელებს:
 - 11.4.1 შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სტრატეგიისა და პოლიტიკის დანერგვა-ოპერირებას;
 - 11.4.2 კომპანიის უსაფრთხო ორგანიზაციული კულტურის მხარდაჭერას; სისტემის შესაბამისი დოკუმენტაციის ჩამოყალიბებას და ორგანიზაციული პროცესების ამ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მოყვანის კონტროლს;
 - 11.4.3 უსაფრთხოების სტანდარტების რეგულარულ განახლებას საქართველოს შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის შესაბამისად;
 - 11.4.4 საკანონმდებლო რეგულაციების, პროფესიული უსაფრთხოებისა და სხვა ნორმატივების კომპანიაში დანერგვის უზრუნველყოფას, ზედამხედველობას მათ შესრულებასა და დაცვაზე;
 - 11.4.5 კომპანიის მასშტაბით ობიექტების აუდიტის ორგანიზებას შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის კუთხით;
 - 11.4.6 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობითა და საწარმოო სპეციფიკიდან გამომდინარე, სს „საქართველოს რკინიგზის“ ობიექტების შემოწმებას, საჭირო გაზომვების ჩატარებასა და შესაბამისი ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორების შეფასებას;

- 11.4.7 პერსონალის მიერ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ნორმატიულ-სამართლებრივი და კომპანიის სხვა შიდა ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულების კონტროლს;
 - 11.4.8 შრომის უსაფრთხოების ტრენინგების ორგანიზებას, კოორდინირებასა და ჩატარებას კომპანიის მასშტაბით;
 - 11.4.9 კომპანიის ხელმძღვანელობისათვის წინადადებების შემუშავებას შრომის უსაფრთხოების, გარემოსდაცვით სფეროში სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის და ხელმძღვანელ პირებს შორის უფლება-მოვალეობების გადანაწილებასთან დაკავშირებით;
 - 11.4.10 შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის შესავალი ინსტრუქტაჟის ჩატარების ორგანიზებასა და კონტროლს ყველა პირისთვის, რომლებიც მიიღებიან სამსახურში;
 - 11.4.11 საწარმოო პროცესთან დაკავშირებული მავნე და საშიში საწარმოო ფაქტორების და პროფესიული და გარემოსდაცვითი საფრთხეების იდენტიფიცირების და მათგან გამომდინარე რისკების შეფასება/ანალიზის პროცესის ორგანიზებასა და კონტროლს;
 - 11.4.12 სერტიფიცირებული/შემოწმებული პირადი/კოლექტიური დამცავი საშუალებებით პერსონალის აღჭურვის ორგანიზებისთვის მხარდაჭერას;
 - 11.4.13 კომპანიაში მომხდარი უბედური შემთხვევების მოკვლევის პროცესების კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლს.
- 12 ფილიალების დარგობრივ დეპარტამენტებში შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვის საკითხებში გადამზადებული / განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების ვალდებულებები:**
- 12.2 შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სტრატეგიისა და პოლიტიკის ინტერესების გატარება; კომპანიის უსაფრთხო ორგანიზაციული კულტურის მხარდაჭერა; ორგანიზაციული პროცესების ამ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მოყვანის კონტროლი;
 - 12.3 აღჭურვილობის, მანქანა-დანადგარების, ხელსაწყოების, პირადი დამცავი საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების განხორციელება;
 - 12.4 მონაწილეობის მიღება უბედური შემთხვევების მოკვლევის კომისიაში, რისკების შეფასების და საფრთხის იდენტიფიცირების ღონისძიებებში;
 - 12.5 პროფესიული რისკების შეფასების განხორციელება;
 - 12.6 საშუალო, მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევების აღრიცხვა, შემთხვევების შესახებ სს „საქართველოს რკინიგზის“ შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვის სამსახურის დაუყონებლივ ინფორმირება;
 - 12.7 პირადი დამცავი საშუალებებით სტრუქტურული ერთეულების უზრუნველყოფის და მიზნობრივი გამოყენების კონტროლი;
 - 12.8 იმ პირებისთვის სამსახურეობრივი მოვალეობების შეჩერება, რომლებსაც არ აქვთ დაშვება, არ აქვთ ჩატარებული ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების საკითხებში, არ გააჩნიათ ან/და არ იყენებენ პირად დამცავ საშუალებებს და არღვევენ შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნებს;
 - 12.9 სს „საქართველოს რკინიგზის“ შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სამსახურისთვის შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის უსაფრთხოების საკითხებზე პერიოდული/თვის შემაჯამებელი ანგარიშების წარდგენა, დანართი 4-ისა და დანართი 20-ის შესაბამისად.

13 სტრუქტურული ერთეულების შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვის საკითხებში განსაზღვრული სპეციალისტების/პასუხისმგებელი პირების ვალდებულებები:

- 13.2 აღჭურვილობის, მანქანა-დანადგარების, ხელსაწყოების, პირადი დამცავი საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების განხორციელება;
- 13.3 მონაწილეობის მიღება უბედური შემთხვევების მოკვლევის კომისიაში, რისკების შეფასების და საფრთხის იდენტიფიცირების ღონისძიებებში;
- 13.4 პროფესიული რისკების შეფასების განხორციელება;
- 13.5 გარემოსდაცვითი ინვენტარიზაცი(ებ)ის განხორციელება;
- 13.6 საწარმოო ტრავმების და პროფესიული დაავადებების ანალიზი და აღრიცხვა, რომლებიც განპირობებულია საწარმოო ფაქტორებით;
- 13.7 საშუალო, მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევების აღრიცხვა, შემთხვევების შესახებ სს „საქართველოს რკინიგზის“ შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სამსახურის დაუყოვნებლივი ინფორმირება;
- 13.8 შრომის უსაფრთხოების შესავალი ინსტრუქტაჟის ჩატარება ყველა პირთან, რომლებიც მიიღებენ სამუშაოდ ან არიან მივლინებულნი;
- 13.9 პირადი დამცავი საშუალებებით სტრუქტურული ერთეულების უზრუნველყოფის და მიზნობრივი გამოყენების კონტროლი;
- 13.10 იმ პირებისთვის სამსახურეობრივი მოვალეობების შეჩერება, რომლებსაც არ აქვთ დაშვება, არ აქვთ ჩატარებული ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით საკითხებში, არ გააჩნიათ ან/და არ იყენებენ პირად დამცავ საშუალებებს და არღვევენ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით საკანონმდებლო მოთხოვნებს;
- 13.11 წინადადებების წარდგენა სს „საქართველოს რკინიგზის“ შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სამსახურისათვის იმ მუშაკების წახალისების შესახებ, რომლებიც აქტიურობენ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი პირობების გაუმჯობესებაში;
- 13.12 **დარგობრივ დეპარტამენტებში შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვის საკითხებში გადამზადებული / განსაზღვრული პასუხისმგებელი პირებისთვის შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით საკითხებზე პერიოდული/თვის შემაჯამებელი ანგარიშების წარდგენა, დანართი 4 -ისა და დანართი 20-ის შესაბამისად.**

14 შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით საკითხებში დასაქმებულთა მონაწილეობა

14.2 შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელი

- 14.2.1 შრომის უსაფრთხოების საკითხებში გადაწყვეტილებების მიღებამდე უზრუნველყოფილი უნდა იყოს დასაქმებულების მონაწილეობა, რაც გულისხმობს დასაქმებულებთან კონსულტაციებს და მათ უფლებას მოახდინონ შრომის უსაფრთხოების შესახებ წინადადებების ინიცირება;

- 14.2.2 დასაქმებულებთან შრომის უსაფრთხოების საკითხებზე კონსულტაციების, ეფექტიანი თანამშრომლობისა და კომუნიკაციის განხორციელების მიზნით, სტრუქტურულ ქვედანაყოფებში დასაქმებულები თავიანთი რიგებიდან, განსაზღვრული ვადით, ხმათა უმრავლესობით, ირჩევენ შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელს. ქვედანაყოფის ხელმძღვანელი ვალდებულია დასაქმებულებს დაეხმაროს არჩევნების ორგანიზებაში და თვალსაჩინო ადგილზე დასაქმებულთა წარმომადგენლების სიის განთავსებაში, შესაბამისი სამუშაო ადგილების მითითებით;
- 14.2.3 დამსაქმებელი ვალდებულია შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელს მისცეს ანაზღაურებადი, სამუშაოსგან თავისუფალი დრო კვირაში არანაკლებ 2 და არაუმეტეს 5 საათის ხანგრძლივობით და უზრუნველყოს იგი შესაბამისი აღჭურვილობით, რათა მან შეძლოს თავისი უფლებამოსილების განხორციელება;
- 14.2.4 დასაქმებულების წარმომადგენლის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების დრო განისაზღვრება წერილობითი დოკუმენტით;
- 14.2.5 შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, დასაქმებულთა წარმომადგენელი უფლებამოსილია:
1. წარმოადგინოს დასაქმებულთა ინტერესები დამსაქმებელთან, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან და საზედამხედველო ორგანოსთან;
 2. შეამოწმოს სამუშაო სივრცესა და სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა ისე, რომ ხელი არ შეუშალოს საწარმოო პროცესს და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს დამსაქმებელს;
 3. დამსაქმებელს მოსთხოვოს ინფორმაცია იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების მდგომარეობაზე და განიხილოს ისინი დამსაქმებელთან ან/და დასაქმებულებთან;
 4. ითანამშრომლოს დამსაქმებელთან და წარუდგინოს მას წინადადებები სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების ხარისხის ამაღლებასთან და მომეტებული საფრთხის შემცირებასთან/აღმოფხვრასთან დაკავშირებით;
 5. მონაწილეობა მიიღოს დამსაქმებლის მიერ ორგანიზებულ დისკუსიებში, რომლებიც შეეხება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, აგრეთვე სამსახურებრივ მოკვლევებში, რომლითაც დგინდება მუშაობის პროცესში მომხდარი საწარმოო ტრავმების, პროფესიული დაავადებების და სხვა შემთხვევების მიზეზები;
 6. საზედამხედველო ორგანოს მიერ საწარმოში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმებისას, წარუდგინოს მას შენიშვნები და წინადადებები;
 7. მიმართოს შესაბამის უწყებებს, თუ დამსაქმებლის მიერ მიღებული ზომები და გამოყოფილი საშუალებები არ არის საკმარისი სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების ნორმების უზრუნველსაყოფად.

14.3 დასაქმებულს უფლება აქვს:

- 14.3.1 განიხილოს დამსაქმებელთან შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებული შრომის უსაფრთხოების ყველა საკითხი და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მოითხოვოს ასეთ განხილვაზე ამ დარგის ექსპერტის მოწვევა. ექსპერტის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები ეკისრება ექსპერტის მომწვევ მხარეს. მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია ექსპერტის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გაყოფა;

- 14.3.2 მიიღოს ინფორმაცია დამსაქმებლისგან საფრთხის შემცველი ფაქტორების, რისკის შეფასების შედეგების, შრომის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად დამსაქმებლის მიერ მიღებული ზომების, სამედიცინო გამოკვლევების შედეგებისა და ზედამხედველი ორგანოს რეკომენდაციებისა და მითითებების შესახებ;
- 14.3.3 უარი თქვას იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება შრომის უსაფრთხოების კანონს ან შრომის უსაფრთხოების ნორმების დაუცველობის გამო აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მისი ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან საკუთრებას, ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას; საფრთხის არსებობისას დატოვოს სამუშაო ადგილი ან სახიფათო ზონა;
- 14.3.4 სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, დამსაქმებელს მოსთხოვოს სხვა მუდმივ ან დროებით სამუშაო ადგილზე გადაყვანა ან სამუშაო პირობების შემსუბუქება, ან დღის ცვლაში გადაყვანა, თუ ღამის ცვლა საზიანოა დასაქმებულის ჯანმრთელობისთვის, თუ დამსაქმებელს აქვს შესაბამისი ვაკანსია და დასაქმებული აკმაყოფილებს ამ ვაკანსიისადმი წაყენებულ მოთხოვნებს;
- 14.3.5 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს კომპენსაცია სამუშაო სივრცეში მიყენებული ზიანისათვის;
- 14.3.6 მიმართოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, ზედამხედველ ორგანოს, დასაქმებულთა წარმომადგენელს შრომის უსაფრთხოების საკითხებში, თუ სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების ნორმები სათანადოდ არ არის დაცული.

14.4 დასაქმებული ვალდებულია:

- 14.4.1 იხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოებასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ინსტრუქციებით, სამართლებრივი ნორმებითა და სხვა წესებით და დაემორჩილოს დამსაქმებლის მიერ დადგენილ სამუშაო პროცედურებს;
- 14.4.2 ითანამშრომლოს დამსაქმებელთან და დასაქმებულთა წარმომადგენელთან, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ნორმების შესაბამისად, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისა და შენარჩუნებისთვის;
- 14.4.3 14.2.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს დამსაქმებელს იმ გარემოების შესახებ, რომლის გამოც უარს ამბობს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე;
- 14.4.4 შეასრულოს სამუშაო, მართოს და გამოიყენოს სამუშაო ტექნიკა, მასალები, საშიში ნივთიერებები და სხვა საშუალებები დამსაქმებლის ინსტრუქციების, სამუშაო გამოცდილების და სწავლება/ტრენინგებისას მიღებული ცოდნისა და კვალიფიკაციის მიხედვით;
- 14.4.5 მართოს სპეციალური წესების მიხედვით განსაზღვრული, მომეტებულ საფრთხესთან დაკავშირებული სამუშაო ტექნიკა და შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქვს შესაბამისი მოწმობა, და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ სამუშაოს შესრულება დაავალა დამსაქმებელმა;
- 14.4.6 თვითნებურად არ გამორთოს, არ შეცვალოს ან არ მოხსნას სამუშაო ტექნიკის, აპარატის, ინსტრუმენტის, დანადგარის ან აღჭურვილობის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დამცავი მოწყობილობები; აღნიშნული მოწყობილობები გამოიყენოს დანიშნულებისამებრ;

- 14.4.7 ინდივიდუალური დაცვის საშუალებები გამოიყენოს ინსტრუქციების მოთხოვნების შესაბამისად, შეინახოს მუშა მდგომარეობაში და დააბრუნოს მათთვის განკუთვნილ ადგილზე;
- 14.4.8 დაუყოვნებლივ წარუდგინოს დამსაქმებელს ან მის წარმომადგენელს ინფორმაცია ნებისმიერი ხარვეზის შესახებ, რომელმაც შეიძლება სამუშაო სივრცეში საშიშროება შეუქმნას შრომის უსაფრთხოებას ან გარემოს დაცვას და გამოიწვიოს უბედური შემთხვევა, აგრეთვე თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს ამ ხარვეზის აღმოფხვრაში;
- 14.4.9 დაესწროს დამსაქმებლის მიერ ორგანიზებულ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის შესახებ ტრენინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებს;
- 14.4.10 გაიაროს პროფილაქტიკური სამედიცინო გამოკვლევები იმ სამუშაოსთან დაკავშირებით, რომლის შესრულებისთვისაც აღნიშნული გამოკვლევების გავლა აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- 14.4.11 დაიცვას დამსაქმებლის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სპეციალისტების, საწარმოო ექიმისა და ზედამხედველი ორგანოს განკარგულებები, მითითებები და რეკომენდაციები შრომის უსაფრთხოებასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- 14.4.12 არ გამოცხადდეს სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში და სამუშაოს შესრულებისას არ მოიხმაროს ასეთი მდგომარეობის გამომწვევი ნივთიერებები;
- 14.4.13 დაემორჩილოს სამუშაო სივრცეში თამბაქოს მოხმარების შესახებ არსებულ აკრძალვებს;
- 14.4.14 ითანამშრომლოს დამსაქმებელთან ან/და შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვით საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელთან იმ დროის განმავლობაში, რამდენიც საჭირო იქნება სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვისათვის ნებისმიერი დავალების ან ზედამხედველი ორგანოს მოთხოვნების შესასრულებლად;
- 14.4.15 ითანამშრომლოს დამსაქმებელთან ან/და შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელთან მანამდე, სანამ დამსაქმებელი არ დარწმუნდება, რომ სამუშაო გარემო და სამუშაო პირობები საშიშროებას არ უქმნის დასაქმებულთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას;
- 14.4.16 თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, მომზადებისა და დამსაქმებლის მიერ ჩატარებული ინსტრუქტაჟის შესაბამისად იზრუნოს საკუთარი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვაზე, აგრეთვე იმ პირების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვაზე, რომლებსაც თავიანთი მოქმედებით ან უმოქმედობით ზიანი მიადგათ.

15 პერსონალის მომზადება და სწავლება შრომის უსაფრთხოების საკითხებში

15.2 შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულების სწავლება/ტრენინგები ხორციელდება პროფესიული დაავადებების და ტრავმების შემცირების მიზნით;

15.3 საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟების ჩატარება მათთვის გასაგებ ენაზე;

15.4 შრომის უსაფრთხოების სწავლება ითვალისწინებს:

- შესავალ ინსტრუქტაჟს;
- ინსტრუქტაჟს სამუშაო ადგილზე: პირველად, მიმდინარეს, მიზნობრივს, განმეორებითს და არაგეგმიურს;
- დასაქმებულთათვის სამუშაო პროფესიის მიხედვით შრომის უსაფრთხოების სწავლების/ტრენინგის ორგანიზებას;

15.5 შესავალი ინსტრუქტაჟი

15.5.1 შესავალი ინსტრუქტაჟი უტარდებათ სამსახურში ყველა ახლად მიღებულ პირებს, კომპანიაში მივლინებულ მომუშავეებს, საწარმოო პრაქტიკის/სტაჟირების გასავლელად მივლინებულ სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს და სხვა პირებს, რომლებიც არ წარმოადგენენ კომპანიაში დასაქმებულებს და ასრულებენ სამუშაოს მოცემული სტრუქტურული ერთეულის სამუშაო სივრცეში, ან მონაწილეობენ საწარმოო საქმიანობაში, მიუხედავად მათი განათლების, გამოცდილებისა და თანამდებობისა;

15.5.2 შესავალ ინსტრუქტაჟს ატარებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან პირი, რომელზეც დირექტორის ბრძანებით არის დაკისრებული აღნიშნული მოვალეობის შესრულება;

15.5.3 შესავალი ინსტრუქტაჟის ჩატარების შესახებ კეთდება ჩანაწერი შესავალი ინსტრუქტაჟის რეგისტრაციის ირ-1 ფორმის ჟურნალში (დანართი 5).

15.6 ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე

15.6.1 პირველად, მიმდინარე, განმეორებით, არაგეგმიურ და მიზნობრივ ინსტრუქტაჟს სამუშაო ადგილზე ატარებს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი (სამუშაოთა მწარმოებელი);

15.6.2 პირველადი ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე ტარდება პროგრამების მიხედვით, რომლებიც შემუშავებულია საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის მიერ;

15.6.3 პროგრამებს ენიჭება ნომერი რომელიც მიეთითება ინსტრუქტაჟების ჟურნალში;

15.6.4 პირველადი ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე, სამუშაოს შესრულების დაწყებამდე უტარდებათ:

- ყველა ახლად მიღებულ თანამშრომლებს;
- სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფიდან გადმოყვანილ თანამშრომლებს, ან მოცემული სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომლებს, რომლებსაც ევალებათ მათთვის ახალი სახის სამუშაოს შესრულება;
- მივლინებულ პირებს და საწარმოო პრაქტიკის/სტაჟირების გასავლელად მივლინებულ სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს;

15.6.5 განმეორებით ინსტრუქტაჟს გადის ყველა თანამშრომელი არანაკლებ 3 თვეში ერთხელ, სამუშაო ადგილზე პირველადი ინსტრუქტაჟის ჩასატარებელი პროგრამის მიხედვით.

15.6.6 არაგეგმიური ინსტრუქტაჟი უნდა ჩატარდეს:

1. სამუშაოს 60 დღეზე მეტი წყვეტის შემთხვევაში;
 2. მომეტებული საფრთხის სამუშაოს 30 დღეზე მეტი წყვეტის შემთხვევაში;
 3. შრომის უსაფრთხოების სფეროში ახალი ან/და შეცვლილი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების, სამართლებრივი აქტების და ასევე ინსტრუქციების მიღებისას;
 4. ტექნოლოგიური პროცესების შეცვლისას ან/და აღჭურვილობის, ხელსაწყოების მოდერნიზებისას და სხვა ფაქტორების დროს, რომლებიც გავლენას ახდენს შრომის უსაფრთხოებაზე;
 5. მუშაკების მიერ შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, თუ ამ დარღვევებმა გამოიწვია, ან შექმნა უბედური შემთხვევის, ავარიის დადგომის რეალური საფრთხე;
 6. სახელმწიფო ზედამხედველი ორგანოს მოთხოვნით;
 7. კომპანიის დირექტორის მოთხოვნით;
- 15.6.7 **მიმდინარე ინსტრუქტაჟი უტარდება მიწინააღმდეგეში თვეში ორჯერ კომპანიის ყველა ტექნიკური დარგის თანამშრომელს** ვისაც ყოველდღიურად მუშაობა უწევს უშუალოდ რკინიგზის ლიანდაგზე, მატარებლების სიახლოვეს, საკონტაქტო ხაზის ქვეშ, მანქანა-დანადგარებთან, ელექტრო მოწყობილობებთან და ა.შ., გარდა ქვესადგურების მორიგე ოპერატიული პერსონალისა.
- მიმდინარე ინსტრუქტაჟი ტარდება** მიმდინარე ინსტრუქტაჟი ტარდება ოპერატიულ მდგომარეობაში გასარკვევად და სამუშაოს შესრულების დროს შესაძლო საშიშროებების თაობაზე.
- იმ დასაქმებულთა ჩამონათვალი, დრო და ადგილი, რომლებსაც უნდა ჩაუტარდეთ მიმდინარე ინსტრუქტაჟი, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით სხვადასხვა ქვედანაყოფებში და მის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირები განსაზღვრული უნდა იქნას სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ;
- მიზნობრივი ინსტრუქტაჟი** უნდა ჩაუტარდეს ყველა დასაქმებულს იმ სამუშაოების შესრულების წინ, რომელიც არაა დაკავშირებული მათ პირდაპირ მოვალეობასთან და მოითხოვს დამატებითი უსაფრთხოების წესების ცოდნას, სამუშაოს ერთჯერადად შესრულებისას, ავარიის, სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისას, რომლებზეც ფორმდება დაშვების ფორმა (განწესი); **მიზნობრივი ინსტრუქტაჟი ელექტრო დანადგარებთან მუშაობის შემთხვევაში** – მითითებები ელექტროდანადგარში კონკრეტული სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებაზე, რომელშიც მონაწილეობს განწესით ან განკარგულებით განსაზღვრული ყველა პირი, დაწყებული განწესის ან განკარგულების გამცემიდან ბრიგადის წევრებამდე ან შემსრულებლებამდე.
- განწესით მუშაობისას მიზნობრივი ინსტრუქტაჟი, განწესში უნდა გაფორმდეს ჩამტარებელი და მიმღები მომუშავეების **ხელმოწერით** ცხრილში „მიზნობრივი ინსტრუქტაჟის რეგისტრაცია პირველადი დაშვების დროს“
- 15.6.8 **მიზნობრივი ინსტრუქტაჟი** უნდა ჩაუტარდეს ყველა დასაქმებულს იმ სამუშაოების შესრულების წინ, რომელიც არაა დაკავშირებული მათ პირდაპირ მოვალეობასთან და მოითხოვს დამატებითი უსაფრთხოების წესების ცოდნას, სამუშაოს ერთჯერადად შესრულებისას, ავარიის, სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისას, რომლებზეც ფორმდება დაშვების ფორმა (განწესი);
- 15.6.9 პირველად, განმეორებით, არაგეგმიური და მიზნობრივი ინსტრუქტაჟის სამუშაო ადგილზე ჩატარების შესახებ კეთდება ჩანაწერი ინსტრუქტაჟის რეგისტრაციის ირ-2 ფორმის ჟურნალში, ხოლო მიმდინარე ინსტრუქტაჟის ჩატარების შესახებ - ირ-2 ან ირ-2¹

ფორმის ჟურნალში (დანართი 5) დადგენილი წესით, აუცილებლად ინსტრუქტორის და მსმენელის ხელმოწერით. არაგეგმიური ინსტრუქტაჟის ჩატარებისას უთითებენ მისი ჩატარების მიზეზს.

15.7 მომუშავესთვის პროფესიის მიხედვით შრომის უსაფრთხოების სწავლების/ტრენინგის ორგანიზება:

15.7.1 სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს, ყველა ახლად მიღებული თანამშრომლისთვის, სამუშაოზე მიღებიდან ერთი თვის მანძილზე, სამუშაოს შესრულების უსაფრთხო მეთოდების სწავლებას, ასევე იმ პირების სწავლებას, რომლებიც გადადიან სხვა სამუშაოზე;

15.7.2 სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს იმ პირთათვის სამუშაოს შესრულების უსაფრთხო მეთოდების სწავლებას, რომლებიც მიიღებიან მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე, სამუშაო ადგილზე სტაჟირებით. მუშაკები, რომლებიც პირველად იწყებენ აღნიშნული სამუშაოს შესრულებას ან/და რომელთაც ქონდათ ერთ წლიანი წყვეტა სამუშაოზე, გადიან შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების სწავლებას და ცოდნის შემოწმებას ამ სამუშაოებზე მიღებიდან პირველი თვის განმავლობაში;

15.7.3 ობიექტის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პირველადი დახმარების გაწევის და საგანგებოს სიტუაციების დროს მოქმედების სწავლებას შიდა/გარე მოწვეული სპეციალისტის მიერ არანაკლებ წელიწადში ერთხელ. ინსტრუქტაჟი ტარდება იმგვარად, რომ თითო ქვედანაყოფში იყოს არანაკლებ ერთი პირი, რომელიც შეძლებს დაზარალებულისთვის პირველადი დახმარების გაწევას;

15.7.4 შრომის უსაფრთხოების და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში ცოდნის გაღრმავების მიზნით, პერიოდულად (არანაკლებ თვეში ერთხელ) აუცილებელია ტექნიკური მეცადინეობის ჩატარება სტრუქტურულ ერთეულებში და მის ქვედანაყოფებში დასაქმებულებთან. ტექნიკური მეცადინეობის დროს შრომის დაცვის საკითხების სწავლება უნდა ხორციელდებოდეს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული თემატური გეგმების მიხედვით.

ტექნიკურ მეცადინეობაზე შრომის დაცვის საკითხების შესწავლის შესახებ ჩანაწერები უნდა კეთდებოდეს შრომის დაცვის და უსაფრთხოების ტექნიკის მეცადინეობის აღრიცხვის „შდმა“ ფორმის (დანართი 6) ჟურნალში;

15.7.5 სწავლებების და მეცადინეობების ჩასატარებლად შესაძლებელია სამედიცინო პერსონალის, სასწავლო დაწესებულებების ინსტრუქტორების ან/და სხვა კომპეტენტური ორგანიზაციების მოწვევა.

16 შრომის უსაფრთხოების შესავალი და სამუშაო ადგილზე ინსტრუქტაჟის პროგრამა, მიზანი და ჩატარების წესი

16.2 შრომის უსაფრთხოების შესავალი ინსტრუქტაჟის ჩატარების მიზანია ახლად მიღებული მომუშავეების გაცნობა არსებულ მავნე და საშიშპირობებიან ფაქტორებთან, კომპანიის შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებთან, რომელიც შეიცავს კომპანიის შიდა ნორმატიულ აქტებს, ინსტრუქციებს და სხვა. შესავალ ინსტრუქტაჟს ატარებს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და აკეთებს ჩანაწერს შრომის უსაფრთხოების შესავალი ინსტრუქტაჟის ჟურნალში (**დანართი 5**);

16.3 სამუშაო ადგილზე ინსტრუქტაჟის ჩატარების მიზანია მუშაკების გაცნობა აღნიშნულ ობიექტზე სამუშაოების თავისებურებებთან დაკავშირებით. სამუშაო ადგილზე ინსტრუქტაჟს ატარებს ქვედანაყოფის ხელმძღვანელი (სამუშაოთა მწარმოებელი) პროგრამით, რომელიც დამტკიცებულია სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ. სამუშაო ადგილზე ინსტრუქტაჟის ჩატარების შესახებ კეთდება ჩანაწერი ინსტრუქტაჟის ჟურნალში (**დანართი 5**), აუცილებლად ინსტრუქტორის და მსმენელის ხელიმოწერით;

16.4 შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის დასრულებისას ხდება მომუშავეს მიერ მიღებული ცოდნისა და უსაფრთხო მუშაობის უნარების ვერბალური შემოწმება;

16.5 შესავალი ინსტრუქტაჟის საკითხების ჩამონათვალი

16.5.1 კომპანიაში საწარმოო საქმიანობის ხასიათის ზოგადი ინფორმაცია, ძირითადი მავნე და საშიში საწარმოო საქმიანობის ფაქტორები;

16.5.2 ძირითადი საკანონმდებლო და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, ასევე ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ შესასრულებლად სავალდებულო შრომის უსაფრთხოების სახელმწიფო ნორმატიულ მოთხოვნებს; კომპანიის შიდა ნორმატიული აქტები (საწარმოს შრომის უსაფრთხოების სტანდარტები და ინსტრუქციები);

16.5.3 შრომის უსაფრთხოების საკითხებში ხელმძღვანელი პირებისა და მუშაკების უფლება-მოვალეობები;

16.5.4 შრომის უსაფრთხოების სწავლებების თანმიმდევრობა;

16.5.5 სამუშაოს წარმოების თანმიმდევრობა მავნე და საშიშპირობებიანი ფაქტორების ზემოქმედების დროს;

16.5.6 შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის კონტროლი;

16.5.7 ავარიული და საგანგებო სიტუაციის დროს მოქმედების გეგმა.

16.6 სამუშაო ადგილზე ინსტრუქტაჟის ჩამონათვალი

16.6.1 საერთო ცნობები მოცემული ობიექტის, მოწყობილობების (მათ შორის მოძრავი შემადგენლობის), ტექნოლოგიური პროცესების და მათთან დაკავშირებული საშიში და მავნე ფაქტორების შესახებ;

16.6.2 რკინიგზის ლიანდაგებში და მომატებული რისკების შემცველ ადგილებში უსაფრთხო შრომის ორგანიზაცია, სამუშაო ადგილის შეზღუდვა და მოვლა;

16.6.3 სამომსახურო დანადგარების, მოძრავი შემადგენლობის, მანქანებისა და მექანიზმების მოწყობილობები, მათი საშიში ზონები, დამცავი მოწყობილობები, შემოღობვები, ბლოკირებები და მოწყობილობების კონსტრუქციებში შემავალი სიგნალები;

16.6.4 უბნებზე კოლექტიური დაცვის საშუალებები (მოძრავი შემადგენლობის მოახლოების სიგნალიზაციის სისტემები, სავენტილაციო მოწყობილობები, განათება და სხვ.) და მათი სარგებლობის წესები;

16.6.5 ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და სამუშაო ადგილზე მათი გამოყენების წესი;

- 16.6.6 მუშაობის დაწყებისთვის სამუშაო ადგილის მომზადების წესი (მოწყობილობების და დაცვის საშუალებების წესივრულობის გასინჯვა);
- 16.6.7 ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულებისას გამოსაყენებელი უსაფრთხო შრომის წესები და მეთოდები;
- 16.6.8 ქვედანაყოფის სამუშაო სივრცეში დასაქმებულთა გადაადგილების უსაფრთხო მარშრუტები;
- 16.6.9 საამქროს შიდა სატრანსპორტო და ტვირთამწე საშუალებები, უსაფრთხოების წესები და ტვირთვა-დაცლის სამუშაოების წარმოების დროს;
- 16.6.10 დასაქმებულთა მოქმედებები სახიფათო სიტუაციების წარმოქმნის დროს;
- 16.6.11 ავარიების, აფეთქებების, ხანძრის თავიდან აცილების ღონისძიებები. მოვალეობები და მოქმედების გეგმა ავარიის, აფეთქების, ხანძრის შემთხვევაში. ხანძარქრობის საშუალებების, ავარიული სიგნალის გამოყენების წესი, მათი ადგილმდებარეობა.

17 გარემოსდაცვითი სწავლება/ინსტრუქტაჟის ჩატარება ამ კუთხით დასაქმებულ თანამშრომლებთან.

- 17.2.1 საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის მე-18 მუხლის 1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად სახიფათო ნარჩენებთან მომუშავე პირი ვალდებულია ინფორმირებული იყოს და ჰქონდეს გავლილი შესაბამისი სწავლება სახიფათო ნარჩენებთან მოპყრობასთან დაკავშირებით;
- 17.2.2 გარემოსდაცვით საკითხებზე დასაქმებულების სწავლება/ტრენინგები ხორციელდება გარემოსდაცვითი დარღვევებისა და პირადი უსაფრთხოების პრევენციის მიზნით;
- 17.2.3 გარემოსდაცვითი სწავლება-ტრენინგის (დანართი 19) ჩატარება სავალდებულოა ყოველ წელს, წელიწადში ორჯერ (6 თვეში ერთხელ);
- 17.2.4 გარემოსდაცვითი ტრენინგის პროგრამა მოიცავს ინფორმაციას:
 - 1. სახიფათო ნარჩენებთან მოპყრობის შესახებ;
 - 2. ზოგადი გარემოსდაცვითი პრინციპების შესახებ;
 - 3. სახიფათო ნარჩენების შეფუთვისასთან დაკავშირებით;
 - 4. სხვადასხვა სახის ნარჩენის სწორ განკარგვასთან დაკავშირებით;
 - 5. სახიფათო უბნის სპეციფიკასთან დაკავშირებით;
 - 6. სახიფათო ნარჩენების ჟურნალის წარმოებასთან დაკავშირებით (დანართი 17);
 - 7. სახიფათო ნარჩენებთან დაკავშირებული რისკების შესახებ.

18 შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის საწყისი ანალიზი.

18.2 ზოგადი დებულებანი

- 18.2.1 საწყისი ანალიზის ჩატარების მიზანია შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის და შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების მოქმედ საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობის შეფასება. საწყისი ანალიზის ჩატარების დროს აუცილებელია:
 - 1. განისაზღვროს შესასრულებლად აუცილებელი საკანონმდებლო და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, რომლებიც შეიცავს შრომის უსაფრთხოების ნორმატიულ

მოთხოვნებს და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები, რომლებსაც ნებაყოფლობითი ხასიათისაა;

2. არსებული ან მოსალოდნელი საწარმოო საქმიანობიდან გამომდინარე საფრთხის და რისკების იდენტიფიცირება, პერსონალის უსაფრთხოებისას და ჯანმრთელობის დასაცავად;
3. განისაზღვროს, არის თუ არა არსებული ან/და დაგეგმილი პრევენციული ღონისძიებები ადეკვატური საფრთხეები აღმოსაფხვრელად ან/და რისკის დონის შესამცირებლად;

18.2.2 საწყისი ანალიზის დასკვნა უნდა იყოს დოკუმენტირებული. დასკვნის საფუძველზე ხდება გადაწყვეტილებების მიღება შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის გამოყენებასა ან/და გაუმჯობესებაზე;

18.2.3 საწყისი ანალიზის დასკვნის საფუძველზე განისაზღვრება შრომის უსაფრთხოების საბაზისო დონე, რათა მოხდეს შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის უწყვეტი გაუმჯობესების შედარება და შეფასება.

19 მავნე საწარმოო ფაქტორების, პროფესიული რისკების და მათი მომუშავეებზე ზემოქმედების აღრიცხვის წესი, უსაფრთხოების ადეკვატური ზომების დაგეგმვა:


19.2 პროფესიული რისკების შეფასება - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 18 თებერვლის ბრძანება №01-15/ნ, სამუშაო სივრცეში დამტკიცებული რისკის შეფასების წესის თანახმად.

19.3 რისკების შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა

19.3.1 პროფესიული რისკების შეფასებისას გამოვლინდება ადგილები, სადაც რისკის დონე არის მაქსიმალური. ამ ადგილებისთვის შემუშავებული უნდა იყოს ოპერატიული გეგმები რისკის დონის შესამცირებლად.

19.3.2 პროფილაქტიკის ზომების იერარქია, მათი პრიორიტეტების მიხედვით მოცემულია ცხრილი 3-ში:

ცხრილი 3



- საფრთხის აღმოფხვრა - თვით შესასრულებელ სამუშაოზე;
- საფრთხის ჩანაცვლება - შეცვალეთ საფრთხის გამომწვევი წყარო უსაფრთხო საშუალებით;
- საინჟინრო გადაწყვეტა - გამოიყენეთ ინჟინრული საშუალებები, კოლექტიური დაცვის საშუალებები;
- ადმინისტრაციული გადაწყვეტა - გამოიყენეთ სამუშაოს შესრულების უსაფრთხო ტექნიკა და

შიდა ადმინისტრაციული ნორმატივები;

- პირადი დამცავი საშუალებები - უზრუნველყავით თანამშრომლები ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

19.3.3 პროფესიული რისკების ანალიზის სამუშაოების შედეგად შედგება რისკების შეფასების დოკუმენტი (დანართი 1).

20 ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გაცემა და გამოყენების კონტროლი

20.2 შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონის შესაბამისად, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე, ასევე სამუშაოებზე, რომლებიც დაკავშირებულია დაბინძურებასთან და განსხვავებულ ტემპერატურულ პირობებთან, მომუშავეებისთვის უფასოდ გაიცემა სერტიფიცირებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;

20.3 ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს მიეკუთვნება ჩაფხუტი, სპეცტანსაცმელი, სპეცფეხსაცმელი და სხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (მაიზოლირებელი ტანსაცმელი, სასუნთქი ორგანოების დამცავი საშუალებები, ხელის დაცვის საშუალებები, თავის დაცვის საშუალებები, სახის დაცვის საშუალებები, სმენის დაცვის საშუალებები, თვალის დაცვის საშუალებები და სხვა);

20.4 ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს სამუშაოს ხასიათს, სპეციფიკას და უნდა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოება. ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს უნდა გააჩნდეს შესაბამისობის სერტიფიკატი;

20.5 ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გაცემის განსაზღვრა უნდა მოხდეს რისკების შეფასების დოკუმენტის საფუძველზე და სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე;

20.6 ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს პროფესიების მიხედვით განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფების ხელმძღვანელი (იხელმძღვანელებთ ცხრილი 4-ში მითითებული მეთოდით);

20.7 ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გაცემის და შეცვლის ვადებს განსაზღვრავს კომპანიის ხელმძღვანელობა კომპანიის შიდა ნორმატიული აქტით;

20.8 შრომითი ხელშეკრულების დადების წინ მომუშავეები უნდა გაეცნონ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გაცემის ნორმებს;

20.9 მუშაკები ვალდებული არიან, სწორად გამოიყენონ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციებისა და ნორმატიული აქტების შესაბამისად;

20.10 დასაქმებულები უნდა გაუფრთხილდნენ მათ მოხმარებაში მიღებულ ინდივიდუალურ დაცვის საშუალებებს. დადგენილი ვადების დასრულებამდე, მუშაკისგან დამოუკიდებლად (იმ მიზეზის გამო, რომელიც არ არის მუშაკზე დამოკიდებული) უვარგის მდგომარეობაში მოსული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უნდა იყოს ჩამოწერილი სამუშაოთა მწარმოებლის განცხადების საფუძველზე;


20.11 ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გაცემა მუშაკებზე და მათ მიერ დაბრუნება უნდა მოხდეს შესაბამის ჟურნალში ჩანაწერის სახით, რომელსაც აწარმოებს ქვედანაყოფის ბუღალტერია/საწყობი;


20.12 კომპანიაში უნდა დაწესდეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების კონტროლი. მუშაკები არ უნდა დაიშვებოდნენ სამუშაოს შესრულებაზე მათი გამოყენების გარეშე;

- 20.13 ყველა ის პირი, ვინც იმყოფება სამუშაო სივრცეში (მიუხედავად თანამდებობისა და წოდებისა), აღჭურვილი უნდა იყოს თავის დაცვის საშუალებით. პირები, რომლებსაც უწევთ სამუშაოს განხორციელება სიმაღლის დონეებს შორის 2 მეტრზე ვარდნის შეულობავ არეალში, უნდა აღიჭურვონ სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო საშუალებებით;
- 20.14 ნორმებისა და წესების მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიაში რეგულარულად უნდა ჩატარდეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შემოწმება (რესპირატორების, უსაფრთხოების ქამრების, ჩაფხუტების და სხვა.). შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზიანი/წუნის მქონე ინდივიდუალური დაცვის საშუალებები ამოღებულ უნდა იქნას ხმარებიდან და მათზე უნდა განთავსდეს შესაბამისი მარკირება;
- 20.15 სამუშაოს დასრულების შემდეგ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების კომპანიის არეალის მიღმა გატანა იკრძალება.

ცხრილი 4


თვალის დაცვა

	ტიპი	გამოყენება	სურათი
1	მსუბუქი დაცვის სათვალე	საერთო დამაბინძურებელი საწარმოო ფაქტორებისგან დაცვისთვის	
2	ქიმიური დაცვის სათვალე	თვალის დაცვა ქიმიური ხსნარების შხეფებისგან. ასევე იცავს მტვრის ნაწილაკების და ნატეხების თვალში მოხვედრისგან	
3	დამცავი სათვალე	თვალის დაცვა მყარი ნაწილაკებისგან, ნაპერწკლებისგან, შხეფებისგან. ხშირად გვერდითა მხარეებზე აქვს სავენტილაციო ნახვრეტები და ამის გამო არის მტვრის და შხეფების თვალში მოხვედრის საშიშროება	
4	სახის დაცვა	სახის დაცვა მყარი ნაწილაკებისგან, ქიმიური შხეფებისგან. შეიძლება სხვა დამცავ სათვალესთან ერთად გამოყენება	

5	შემდუღებლის ნიღაბი	სახის და თვალების დაცვა ინფრაწითელი გამოსხივებისგან, ტემპერატურისგან, ნაპერწკლებისგან. ხშირად ნიღბის ქვეშ იყენებენ მსუბუქი დაცვის სათვალეს.	
---	--------------------	---	---

ხელის დაცვა


ტიპი	გამოყენება	სურათი
მსუბუქი ხელთათმანი	დაცვა საერთო საწარმოო დაბინძურებისგან	
	დაცვა მჭრელ და ბასრ საგნებთან მუშაობისას	
	დაცვა მექანიკური დაზიანებებისგან ბასრ, მჭრელ და სველი ზედაპირის მქონე საგნებთან მუშაობისას	
ძლიერი დაცვის მქონე ხელთათმანები	ელექტროსის დიელექტრიკული ხელთათმანი	
	სამონტაჟო სამუშაოები, რკინასთან ზემოქმედებისას, მაღალ ტემპერატურებთან ზემოქმედებისას.	


	<p>საშემდუღებლო სამუშაოების შესრულებისას</p>	
--	--	---

დაცვა, სპეც-ტანსაცმელი

ტიპი	გამოყენება	სურათი
<p>სპეც ტანსაცმელი</p>	<p>მექანიკურ სამუშაოებში</p>	
<p>სპეც ტანსაცმელი</p>	<p>ელექტროსამონტაჟო და ელექტროსაექსპლუატაციო სამუშაოებისას</p>	
<p>სპეც ტანსაცმელი</p>	<p>საშემდუღებლო სამუშაოების შესრულებისას</p>	

თავის დაცვა

ტიპი	გამოყენება	სურათი
<p>ჩაფხუტი-კეპი</p>	<p>მსუბუქი დაცვა. გამოიყენება დახურულ სივრცეში სადაც არ არის ზემოდან საგნის ვარდნის საშიშროება. ასევე გამოიყენება სამონტაჟო სამუშაოებისას, საწყობში,</p>	

	ავტოსერვისის, გეოდეზიის, ტექნომსახურებისას.	
სამშენებლო ჩაფხუტი	მექანიკური დაცვა მძიმე საგნების დაცემისგან, გვერდიდან მოხვედრისგან, მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებისგან, ქიმიური ზემოქმედებისგან	

სასუნთქი გზების დაცვა

ტიპი	გამოყენება	სურათი
ერთჯერადი რესპირატორი	მტვრის ნაწილაკებისგან დაცვა, მცირე დროის მანძილზე. ყოველ 2 საათში ექვემდებარება შეცვლას.	
რესპირატორი	ყველა სახის მექანიკური მტვრის ნაწილაკებისგან დაცვა. მავნე აირებისგან დასაცავად არ გამოდგება. მუშაობს 30 სამუშაო ცვლას	
კარტრიჯიანი რესპირატორი.	ყველა სახის მექანიკური მტვრისგან და ასევე ლაქ-საღებავების მავნე აირებისგან დაცვა. მუშაობს 60 საათის განმავლობაში ამის შემდეგ ეცვლება ფილტრები	
სახის სრული რესპირატორი	ყველა სახის მექანიკური მტვრისგან, მავნე აირებისგან დაცვა და ასევე თვალის, სახის და ლორწოვანი სისტემის დაცვა. 60 საათის შემდეგ ეცვლება ფილტრები	

სმენის დაცვა

ტიპი	გამოყენება	სურათი
ერთჯერადი ყურსაცობები	მსუბუქი წონის. გამოიყენება ადგილებში სადაც ხმაურის დონე საშუალოდ 85დბ-ზე მეტია.	
მრავალჯერადი ყურსაცობები	სილიკონის მასალისგან დამზადებული. მსუბუქი წონის. გამოიყენება ადგილებში სადაც ხმაურის დონე საშუალოდ 85დბ-ზე მეტია.	
პასიური ხმის დამხშობი ყურსასმენები	გამოიყენება ტექნიკასთან, ჩარხებთან სამუშაოდ. ახშობს ხმაურს 25 დბ-ამდე	
აქტიური ხმის დამხშობი ყურსასმენები	გამორჩევა მაღალი ხმისდამხშობი მაჩვენებლებით და შესაძლებელია რაციის საშუალებით საუბარი	

21 ახლად მიღებული პერსონალის სამუშაოების წარმოებაზე დაშვების წესი, რომელზეც საჭირო არის დამატებითი შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები.

21.2 მუშაკებს, რომლებიც აწარმოებენ თავიანთ საქმიანობას საშიშპირობებიანი საწარმოო ფაქტორების პირობებში, შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის შესაბამისად, მოეთხოვებათ დამატებითი შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულება. სამუშაოების წარმოებისთვის, რომელსაც მოეთხოვება დამატებითი შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულება დაიშვებიან ის პირები:

- რომლებსაც სამუშაოზე მიღებამდე გავლილი აქვთ სამედიცინო შემოწმება და ცნობილი არიან ვარგისად დაკისრებული სამუშაოს შესრულებისთვის;
- რომლებიც მოქმედი ნორმებისა და წინამდებარე მართვის სისტემის მე-16 თავის შესაბამისად უზრუნველყოფილი არიან ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- რომლებმაც გაიარეს სამუშაოს შესრულების უსაფრთხო მეთოდების სწავლება სამუშაო ადგილზე სტაჟირებით და ასევე შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი.

პერსონალის პროფესიების და სამუშაოების ჩამონათვალი, რომლებსაც მოეთხოვებათ დამატებითი შრომის უსაფრთხოების ნორმები, წარმოდგენილია **დანართი 7-ში**;

21.3 პერსონალის მიღება სამუშაოზე, პროფესიების და სამუშაოს სახეობების ჩამონათვალის მიხედვით, უნდა განხორციელდეს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურის მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშაკების ასაკი დამაკმაყოფილებელია, ასევე მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა შემოწმებულია და აღიარებულია ვარგისიანად აღნიშნული სამუშაოების შესრულებისთვის;

21.4 სამუშაოზე მიღების საბუთების გაფორმების შემდეგ ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახური აძლევს ახლად მიღებულ მუშაკს სამუშაოზე დაშვების ღონისძიებების კონტროლის პირად ბარათს (**დანართი 8**);

21.5 ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურიდან ახლად მიღებული მუშაკები იგზავნებიან შრომის უსაფრთხოების სამსახურში, სადაც მათ უტარდებათ შრომის უსაფრთხოების შესავალი ინსტრუქტაჟი, რაც აღირიცხება შესავალი ინსტრუქტაჟის ჟურნალში და პირად ბარათში;

21.6 შესავალი ინსტრუქტაჟის ჩატარების შემდეგ, ახლად მიღებული მუშაკი იგზავნება საწყობში, სადაც მას ეძლევა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები მისი პროფესიიდან გამომდინარე. საწყობის ხელმძღვანელი აკეთებს ჩანიშვნას პირად ბარათში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გაცემის თაობაზე;

21.7 მუშაკის სამუშაოზე დაშვების პრაქტიკული მომზადება ხორციელდება სტრუქტურულ ქვედანაყოფში, სადაც ის გაივლის შრომის უსაფრთხოების ტექნიკის სწავლება/მომზადებას;

21.8 შრომის უსაფრთხოების ტექნიკის სწავლება/მომზადების პროცესში მუშაკი გაივლის სამუშაოს შესრულების უსაფრთხო მეთოდებს და სტაჟირებას გამოცდილი მუშაკის ხელმძღვანელობის ქვეშ. სტაჟირების დასრულების შემდეგ ის დაიშვება დამოუკიდებლად სამუშაოს შესასრულებლად. შევსებული პირადი ბარათი შენახვის მიზნით გადაეცემა ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურს.

22 განწესის გაცემის წესი

22.2 საშიში ფაქტორების ზემოქმედების ზონაში სამუშაოს შესრულებისთვის აუცილებელია განწესის წარმოება. განწესის წარმოების ფორმა მითითებულია **დანართ 9-ში**;

22.3 მომეტებული საფრთხის მქონე სამუშაოების ჩამონათვალი, რომლებიც საჭიროებს განწესის წარმოებას, მოცემულია **დანართ 7-ში**;

- 22.4 სამუშაოს ნებართვა გაიცემა უშუალოდ სამუშაოთა მწარმოებლის სახელზე. სამუშაო ნებართვას გასცემს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, დადგენილი წესის მიხედვით;
- 22.5 სამუშაო ნებართვის გამცემ უფლებამოსილ პირს ეკისრება იმ ღონისძიებების შემუშავების ვალდებულება, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულებას და აღრიცხვა განწესის გაცემის რეგისტრაციის ჟურნალებში, **დანართი 11** - ში მითითებული ფორმით;
- 22.6 პასუხისმგებელი სამუშაოთა მწარმოებლები, სამუშაოს დაწყებამდე ვალდებულნი არიან ჩაატარონ სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოების მიზნობრივი ინსტრუქტაჟი მუშაკებისთვის და გააფორმონ ინსტრუქტაჟი მიზნობრივი ინსტრუქტაჟის ჟურნალში;
- 22.7 სამუშაოს ნებართვა უნდა გაიცეს იმ პერიოდისთვის, რომელიც აუცილებელია მოცემული სამუშაოს შესრულებისთვის. სამუშაო პირობების ცვლილების შემთხვევაში, სამუშაო ნებართვა უქმდება. სამუშაოს განახლება შესაძლებელია მხოლოდ ახალი სამუშაო ნებართვის გაცემის შემდეგ;
- 22.8 სამუშაოს ნებართვის მიხედვით, სამუშაოს შესრულებაზე კონტროლს, თავისი სამსახურებრივი მოვალეობის ფარგლებში ანხორციელებს პირი, რომელმაც გასცა სამუშაო ნებართვა და სამუშაოთა მწარმოებელი, რომელზეც გაიცა სამუშაო ნებართვა.

23 საგანგებო სიტუაციები

23.2 პირველადი დახმარება

- 23.2.1 საწარმოს სიდიდის, საქმიანობის სფეროსა და სხვა პირობების გათვალისწინებით, დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს პერსონალის პირველადი დახმარების სწავლებების/ტრენინგების ჩატარება;
- 23.2.2 პირველადი დახმარების სწავლებების დროს მუშაკები ეცნობიან დაზარალებულისათვის პირველადი დახმარების აღმოჩენის მეთოდებს. პერსონალიდან აირჩევიან პირები, რომლებიც გაივლიან პირველადი დახმარების სპეციალურ კურსებს. ამ პირების არჩევა ხდება ისე, რომ თითოეულ ქვედანაყოფში მოხვდეს არანაკლებ თითო პირი, რომელსაც შეეძლება პირველადი დახმარების აღმოჩენა დაზარალებულისათვის;
- 23.2.3 პირველადი დახმარების ავთიაქები მოთავსებული უნდა იყოს სპეციალურ ყუთში და განთავსებული უნდა იყოს სამუშაო სივრცესთან ახლოს. მათი ადგილმდებარეობის შესახებ პერსონალს ინსტრუქტაჟის დროს უნდა გააცნოს სამუშაოთა მწარმოებელმა. პირველადი დახმარების ავთიაქების განთავსების ადგილი აღნიშნული უნდა იყოს შესაბამისი ნიშნით.

23.3 საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა

- 23.3.1 სს „საქართველოს რკინიგზის“ ობიექტების სიდიდის, საქმიანობის სფეროსა და სხვა პირობების გათვალისწინებით, **სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირების მიერ შიდა** განკარგულებით უნდა დაინიშნონ სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, რომლებმაც დაკავებული თანამდებობით ან შესასრულებელი სამუშაოების

ხასიათის მიხედვით უნდა შეასრულონ სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი წესები და უზრუნველყოფონ მათი შესრულება განსაზღვრულ სამუშაო უბნებზე, მოქმედი ნორმატიული და სხვა აქტების ფარგლებში;

23.3.2 შემუშავებული უნდა იქნას სახანძრო უსაფრთხოებისა და ევაკუაციის დროს სამოქმედო გეგმა;

23.3.3 კომპანიაში გამოვლენილი უნდა იყოს მეტად სახიფათო უბნები, რომელზეც ავარიული სიტუაციისას შეიძლება განვითარდეს მძიმე მდგომარეობა. თითოეულ ასეთი ადგილისთვის შემუშავებული უნდა იყოს საგანგებო სიტუაციისას სამოქმედო და ავარიის დროს სალიკვიდაციო გეგმა;

23.3.4 საგანგებო სიტუაციის დროს მოქმედების გეგმა უნდა მოიცავდეს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილებით გათვალისწინებულ საკითხებს:

- შეტყობინება საგანგებო სიტუაციის დადგომისას (ჩამონათვალი, თუ ვინ უნდა იყოს ინფორმირებული პირველ რიგში);
- ფუნქციების გადანაწილება, როგორც ხელმძღვანელი პირების, ასევე პერსონალის, რომელიც მონაწილეობს ავარიის ლიკვიდაციაში (ვის და რა ფუნქცია აკისრია);
- საევაკუაციო გასასვლელები, შეკრების ადგილები;
- ხანძარქრობის აღჭურვილობა.

23.4 სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირების მოვალეობები საგანგებო სიტუაციისას.

23.4.1 სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის ხელმძღვანელი:

- ვითარების გაცნობის შემდეგ დაუყოვნებლივ იწყებს ავარიის შედეგების ლიკვიდაციას და დაზარალებული პერსონალის გადარჩენას;
- უზრუნველყოფს საგანგებო შტაბს და ნიშნავს პასუხისმგებელ პირებს დავალებების შესასრულებლად;
- იძახებს სახანძრო-სამაშველო და სხვა სამსახურებს;
- განსაზღვრავს სახიფათო პირობებში მყოფი ადამიანების რაოდენობას და მათ ადგილმდებარეობას, ანხორციელებს ღონისძიებებს მათი გადარჩენისთვის და აყენებს დაცვის საგუშაგოებს ავარიული მონაკვეთის მისადგომებთან;
- სახანძრო-სამაშველო სამსახურის მოსვლისას აცნობს მათ ვითარებას;

23.4.2 უბნის უფროსი ავარიის შეტყობინებისთანავე უნდა მივიდეს საგანგებო შტაბში და აიღოს ავარიული სიტუაციის ლიკვიდაცია და პერსონალის გადარჩენა საკუთარ თავზე, ობიექტის მთავარი ხელმძღვანელის მოსვლამდე;

23.4.3 სტრუქტურულ ერთეულში/ქვედანაყოფში შემუშავებული უნდა იყოს უბნებზე პერსონალის სიები. სპეციალურად გამოყოფილმა პირმა უნდა განახორციელოს თავშეყრის ადგილზე სიების მიხედვით პერსონალის აღრიცხვა, სახიფათო ზონაში დარჩენილი პერსონალის შესახებ ინფორმაციის მოძიება და გადასცეს ეს ინფორმაცია ავარიის ლიკვიდაციაზე პასუხისმგებელ პირს;

23.4.4 სამუშაოთა მწარმოებლები იღებენ პერსონალის გადარჩენის ზომებს და დაუყოვნებლივ ატყობინებენ სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის ხელმძღვანელს ან/და კომპანიის ხელმძღვანელს ავარიის შესახებ. უსაფრთხოდ მყოფი სამუშაოთა მწარმოებლები უნდა

გამოცხადდნენ ავარიის ლიკვიდაციაზე პასუხისმგებელ პირთან დავალებების მისაღებად და მოახსენონ ვითარება თავიანთ სამუშაო ადგილებზე.

23.5 შეტყობინება

23.5.1 საგანგებო სიტუაციის დადგომისას თანამდებობის პირებისა და სამსახურების შეტყობინება უნდა მოხდეს შემდეგი იერარქიით:

- 1) სახანძრო-სამაშველო სამსახური - „112“;
- 2) ობიექტის უფროსი;
- 3) უბნის ტექნიკური ხელმძღვანელები (ელექტრიკოსი, მექანიკოსი);
- 4) ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
- 5) სამუშაოთა მწარმოებლები;
- 6) კომპანიის გენერალური დირექტორი;
- 7) კომპანიის შრომის უსაფრთხოების სამსახური/საგანგებო სიტუაციის სამსახური;

23.5.2 საგანგებო სიტუაციის დადგომისას შეტყობინებისთვის დაცვის საგუშაგოებზე, ობიექტებზე და სამუშაო უბნებზე გამოკრული უნდა იყოს ცხრილი, რომელიც შეიცავს აღნიშნული სამსახურების თუ პირების გამოძახების თანმიმდევრობას და ტელეფონის ნომრებს. (ცხრილი 5).

23.6 ფუნქციების გადანაწილება:

- 23.6.1 ობიექტის ხელმძღვანელის ფუნქციები 23.4.1. პუნქტის შესაბამისად;
- 23.6.2 უბნის უფროსი 23.4.2. პუნქტის შესაბამისად;
- 23.6.3 ადამიანური რესურსების მართვის სამსახური 23.4.3. პუნქტის შესაბამისად;
- 23.6.4 სამუშაოთა მწარმოებლები 23.4.4. პუნქტის შესაბამისად და ასევე თავშეყრის ადგილზე ევაკუირებული პერსონალის რეგისტრაცია;
- 23.6.5 ელექტრიკოსები - საგანგებო სიტუაციის დროს ავარიის ლიკვიდაციაზე პასუხისმგებელი პირის განკარგულებით ელექტრო კვების გამორთვა;
- 23.6.6 დაცვის სამსახური - ავარიის შემთხვევაში ავარიის ლიკვიდაციაზე პასუხისმგებელი პირის ავარიის შესახებ შეტყობინება, მისი დავალებების შესრულება, ავარიული უბნის მისადგომების პერიმეტრის დაცვა;
- 23.6.7 პერსონალი - შეკრების ადგილზე ევაკუაცია და სამუშაოთა მწარმოებელთან რეგისტრაცია. საჭიროების შემთხვევაში ავარიის ლიკვიდაციაში მონაწილეობის მიღება;
- 23.6.8 პირი რომელმაც აღმოაჩინა ხანძრის ან ავარიის განვითარების საფრთხე - დაუყოვნებლივ აცხადებს განგაშს, რეკავს 112-ში, მოუწოდებს ირგვლივ მყოფ ადამიანებს ევაკუაციისკენ და ატყობინებს თავის ხელმძღვანელს ან სხვა ზემდგომ პირს ამის შესახებ.

23.7 საევაკუაციო გზები და თავშეყრის ადგილი

23.7.1 საგანგებო სიტუაციის დადგომისას, მთელმა პერსონალმა უნდა დატოვოს სამუშაო ადგილი და უსაფრთხო გზებით გაემართოს სპეციალურად აღნიშნულ თავშეყრის ადგილებში. თავშეყრის ადგილზე პერსონალი გადის რეგისტრაციას ჟურნალში და

ახსენებს თავშეყრის ადგილის კოორდინატორს ავარიის ადგილზე დარჩენილი ხალხის და მათი ადგილმდებარეობის შესახებ;

23.7.2 თავშეყრის ადგილის კოორდინატორის ფუნქცია ეკისრება ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ პირს. მას უნდა ჰქონდეს წინასწარ შედგენილი სიები იმ უბანზე მომუშავე ადამიანების, სადაც მოხდა ავარია. სპეციალურად გამოყოფილი პირის არყოფნის შემთხვევაში, ფუნქცია შეიძლება შეითავსოს შრომის უსაფრთხოების სამსახურმა ან სამუშაოთა მწარმოებელმა.

23.8 ხანძარქრობის აღჭურვილობა:

23.8.1 ხანძარქრობის აღჭურვილობა, როგორც წესი, არ არის განკუთვნილი ხანძრის დიდი კერის ქრობისთვის. ის გათვლილია მცირე ხანძარზე და მხოლოდ მაშინ, როდესაც ცეცხლმაქრის გამოყენება ხორციელდება სწორად. აქედან გამომდინარე, თუ პერსონალმა შეამჩნია მცირე აალება, რომელსაც ის გაუმკლავდება ისე, რომ თვითონ არ მიადგეს ზიანი, შეუძლია შეუდგეს ხანძრის ქრობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს სამუშაო ადგილი უახლოესი უსაფრთხო გასასვლელის საშუალებით და შეასრულოს 23.5.1. პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.

ცხრილი 5

საგანგებო სიტუაციის დადგომისას შეტყობინების ცხრილი

№	პირი, სამსახური	სახელი, გვარი	ტელ. ნომერი	
			მობილური	სამსახური
1	2	3	4	5

24 სს „საქართველოს რეინიგზის“ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების ინსტრუქცია

24.1. ზოგადი დებულებები

24.1.1. სს „საქართველოს რეინიგზის“ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების ინსტრუქცია (შემდგომში - ინსტრუქცია) შემუშავებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბრის №01-11/5 ბრძანებით დამტკიცებული „სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესის“ საფუძველზე;

24.1.2. ინსტრუქცია ადგენს სს „საქართველოს რეინიგზის“ დაქვემდებარებულ სტრუქტურული ერთეულებისა და ქვედანაყოფების სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესს;

24.1.3. აღრიცხვას, მოკვლევასა და ანგარიშგებას ექვემდებარება სამუშაო პროცესში ან სამუშაო პროცესთან დაკავშირებით მომხდარი შემთხვევა, რომელსაც შედეგად მოჰყვა

დასაქმებულის ან სხვა პირ(ებ)ის ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან დაკარგვა, გარდაცვალება ან მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;

24.1.4. აღრიცხვას, მოკვლევას და ანგარიშგებას არ ექვემდებარება შემთხვევები, რომლებიც არ არის განპირობებული საწარმოო მიზეზებითა და ტრავმებით, რომლებიც მიიღეს დასაქმებულმა მათ მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისას, აგრეთვე დამსაქმებლის ნებართვის გარეშე პირადი მიზნებისათვის ჩადენილი ქმედებისას და არსებობს მათი დამადასტურებელი მტკიცებულება;

24.1.5. პასუხისმგებლობა უბედური შემთხვევის დროულ მოკვლევასა და აღრიცხვაზე, მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის ღონისძიებების შემუშავებასა და მათ პრევენციაზე ეკისრება დამსაქმებელს.

24.2. უბედური შემთხვევის მოხდენისას განსახორციელებელი ქმედებები

24.2.1. სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევისას, ერთეულის/ქვედანაყოფის ხელმძღვანელი ვალდებულია:

1. დაუყოვნებლივ მიიღოს პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის შემდგომი საფრთხის თავიდან აცილებისათვის აუცილებელი ზომები;
2. მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევებისას დაუყოვნებლივ აცნობოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერზე 112, დაიცვას სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის ადგილი და უცვლელად შეინარჩუნოს იგი კომპეტენტური საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენელთა მისვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აუცილებელია ზომების მიღება პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად ან სერიოზული ეკონომიკური ზიანის თავიდან ასაცილებლად;
3. თუ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის ადგილზე სიტუაცია იცვლება პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის შემდგომი საფრთხის თავიდან აცილების ან სერიოზული ეკონომიკური ზიანის თავიდან აცილების მიზნით, სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის ხელმძღვანელმა უნდა დაასაბუთოს ჩარევის აუცილებლობა, შეადგინოს სამუშაო ადგილზე არსებული სიტუაციის შესაბამისი აღწერილობა, შესაბამისი დასურათებით სათანადო მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების მოკვლევის ხელშეწყობისათვის;
4. თუ სამუშაო სივრცეში მომხდარ უბედურ შემთხვევასთან (მიუხედავად უბედური შემთხვევის სიმძიმისა) დაკავშირებული ფაქტები დანაშაულის ნიშნებზე მიაწინებებს, დაუყოვნებლივ აცნობოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერზე 112;
5. მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევების დროს, ზედამხედველი ორგანოს დაუყოვნებლივ ინფორმირების მიზნით, შეადგინოს „დამსაქმებლის მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შეტყობინების ოქმი“, დანართი №12-ის შესაბამისად და გადასცეს ზემდგომ სტრუქტურულ დანაყოფს (დეპარტამენტი, სამსახური) ზედამხედველი ორგანოსთვის გასაგზავნად;
6. დაუყოვნებლივ აცნობოს:
 1. შესაბამის დასაქმებულთა გაერთიანებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დასაქმებულთა წარმომადგენელს შრომის უსაფრთხოების საკითხებში;

2. სხვა დამსაქმებელს, თუ სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევა მის (სხვა დამსაქმებლის) დასაქმებულს შეემთხვა;
3. სს „საქართველოს რკინიგზის“ იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, რომლის დაქვემდებარებაშიც იმყოფება დაზარალებული;
7. მომხდარი ფაქტის შესახებ წერილობით (დოკუმენტბრუნვის პროგრამის საშუალებით) აცნობოს: სს „საქართველოს რკინიგზის“ შრომის უსაფრთხოების სამსახურს, მოძრაობის უსაფრთხოების გენერალურ ინსპექციას, ზემდგომ დეპარტამენტს და იმ დეპარტამენტს, რომლის დაქვემდებარებაშიც იმყოფება დაზარალებული.

24.2.2. სს „საქართველოს რკინიგზის“ ის დეპარტამენტი (სამსახური), რომლის სტრუქტურული ქვედანაყოფის სამუშაო სივრცეშიც მოხდა უბედური შემთხვევა, ვალდებულია:

1. შექმნას საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევის მოკვლევის კომისია, ხოლო მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევისას განახორციელოს მოკვლევის კომისიის შექმნასთან დაკავშირებული ღონისძიებები;
2. განახორციელოს ღონისძიებები „დამსაქმებლის მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შეტყობინების ოქმის“ ზედამხედველი ორგანოსთვის დაუყოვნებლივ გასაგზავნად, კომპანიაში არსებული წესის შესაბამისად;
3. სს „საქართველოს რკინიგზის“ ის სტრუქტურული ერთეული, რომლის სამუშაო სივრცეშიც მოხდა უბედური შემთხვევა და მისი ზემდგომი დეპარტამენტი (სამსახური) ვალდებული არიან აღრიცხონ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევები სპეციალურად ხსენებული მიზნით გახსნილ ჟურნალში, შეინახონ და მოკვლევის კომისიას მიაწოდონ საშუალო სიმძიმის, მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევების შესახებ მტკიცებულებები, რომლებიც შეიცავენ მონაცემებს მოცემულ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით;
4. სტრუქტურული ერთეული, რომლის სამუშაო სივრცეშიც მოხდა საშუალო, მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევა უნდა შეატყობინოს სს „საქართველოს რკინიგზის“ შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სამსახურს, დარეკოს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერზე „1575“ და არაუგვიანეს 24 საათისა გადასცეს შერყობინება ზედამხედველ ორგანოს წერილობით ფორმა 1.3 შევსებით.

24.2.3. უბედური შემთხვევის მოკვლევა

24.2.3.1. უბედური შემთხვევის მოკვლევის მიზნით, დამსაქმებელი ვალდებულია შექმნას უბედური შემთხვევის მოკვლევის კომისია სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევიდან 24 საათში;

24.2.3.2. კომისიის შემადგენლობაში შედიან:

24.2.4. საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევისას:

1. იმ სტრუქტურული ერთეულის უფროსი (ან მისი მოვალეობის შემსრულებელი), რომლის სამუშაო სივრცეშიც მოხდა უბედური შემთხვევა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;
2. წარმომადგენელი იმ სტრუქტურული ერთეულიდან, რომლის დაქვემდებარებაშიც იმყოფება დაზარალებული;
3. დასაქმებულთა წარმომადგენელი შრომის უსაფრთხოების საკითხებში, უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებულის სტრუქტურული ერთეულიდან;
4. პროფესიული კავშირის გაერთიანების წარმომადგენელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
5. სხვა დამსაქმებელი (საჭიროების შემთხვევაში), რომელმაც მიავლინა ან გააგზავნა დასაქმებული სამუშაოდ.

24.2.5. მძიმე უბედური შემთხვევისას:

1. იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ან მისი მოვალეობის შემსრულებელი), რომლის სამუშაო სივრცეშიც მოხდა უბედური შემთხვევა და წარმომადგენელი ზემდგომი დეპარტამენტის (სამსახურის) ხელმძღვანელი პირებიდან;
2. წარმომადგენლები იმ სტრუქტურული ერთეულიდან და დეპარტამენტიდან (სამსახურიდან), რომლის დაქვემდებარებაშიც იმყოფება დაზარალებული;
3. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები: სს „საქართველოს რკინიგზის“ შრომის უსაფრთხოების სამსახურიდან, შესაბამისი ფილიალიდან, მოკვლევაში მონაწილე დეპარტამენტებიდან (სამსახურებიდან) და სტრუქტურული ერთეულიდან;
4. დასაქმებულთა წარმომადგენელი შრომის უსაფრთხოების საკითხებში, უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებულის სტრუქტურული ერთეულიდან;
5. პროფესიული კავშირის გაერთიანების წარმომადგენელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. სხვა დამსაქმებელი (საჭიროების შემთხვევაში), რომელმაც მიავლინა ან გააგზავნა დასაქმებული სამუშაოდ.

24.2.6. ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევისას - 24.2.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული კომისიის შემადგენლობას უნდა დაემატოს სს „საქართველოს რკინიგზის“ იმ ფილიალის ხელმძღვანელი პირ(ებ)ი, რომლის დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის სამუშაო სივრცეშიც მოხდა უბედური შემთხვევა.

24.2.7. საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევის მოკვლევის კომისია იქმნება იმ დეპარტამენტის (სამსახურის) უფროსის (ან მისი მოვალეობის შემსრულებლის) განკარგულებით, რომლის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის სამუშაო სივრცეშიც მოხდა საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევა;

24.2.8. საშუალო, მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევისას, მოკვლევის კომისია იქმნება იმ ფილიალის დირექტორის განკარგულებით, რომლის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის სამუშაო სივრცეშიც მოხდა მძიმე, ფატალური და ან მასობრივი უბედური შემთხვევა;

24.2.9. კომისიის შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია წერილობითი ფორმით უნდა გამოქვეყნდეს დასაქმებულთათვის თვალსაჩინო ადგილას იმ სტრუქტურულ ქვედანაყოფში, რომლის სამუშაო სივრცეშიც მოხდა უბედური შემთხვევა.

- 24.2.10. უბედური შემთხვევა, რომელიც შეემთხვა სხვა პირ(ებ)ს, გამოიკვლევა იმ ორგანიზაციაში, სადაც მოხდა უბედური შემთხვევა;
- 24.2.11. უბედური შემთხვევის დამალვის ფაქტის გამოვლენის ან ზედამხედველი ორგანოს გადაწყვეტილებით სხვა გარემოებების დროსაც, ზედამხედველ ორგანოს უფლება აქვს დამოუკიდებლად ჩაატაროს უბედური შემთხვევის მოკვლევა, შემთხვევის ხანდაზმულობის მიუხედავად;
- 24.2.12. ზედამხედველი ორგანოს მიერ უბედური შემთხვევის მოკვლევის შედეგად შედგენილი ოქმით გათვალისწინებული მითითებების შესრულება აუცილებელია დამსაქმებლისათვის;
- 24.2.13. მოკვლევის ჩატარებისას კომისია უზრუნველყოფს სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის თვითმხილველი პირების, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, დაზარალებულის (თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა) და სხვა დასაქმებულების გამოკითხვას მომხდარი შემთხვევის შესახებ;
- 24.2.14. უბედური შემთხვევა, რომლის შესახებ შეტყობინება დამსაქმებელმა მიიღო დაგვიანებით, ან რომლის შედეგად შრომისუნარიანობის დაქვეითება ან დაკარგვა მოხდა მოგვიანებით, მოიკვლევა დაზარალებულის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, შესაბამისი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, განცხადების მიღების დღიდან ერთი თვის განმავლობაში.

24.3. კომისიის მუშაობის წესი

- 24.3.1. კომისიის თავმჯდომარე აირჩევა კომისიის წევრთა შემადგენლობიდან წევრთა არანაკლებ 2/3-ის მიერ. კომისიის წევრთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება თავმჯდომარის არჩევის შესახებ ფორმდება წერილობით, ოქმის სახით, რაც დასტურდება კომისიის წევრთა ხელმოწერით და გამოიკვრება დასაქმებულთათვის თვალსაჩინო ადგილას;
- 24.3.2. კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ კომისიის წევრთა არანაკლებ 1/3-ს;
- 24.3.3. კომისიის თავმჯდომარე უძღვება კომისიის სხდომებს, ორგანიზებას უწევს კომისიის წევრთა საქმიანობას;
- 24.3.4. კომისიის წევრები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ უსასყიდლოდ;
- 24.3.5. კომისიის წევრ(ებ)ი ვალდებული არიან:
 - 1. დაიცვან კანონიერების, მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობისა და თანასწორობის პრინციპები;
 - 2. სრულყოფილად მოიკვლიონ საქმეში არსებული გარემოებები, უბედური შემთხვევის დროს საწარმოო გარემო პირობები (ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ფსიქო-სოციალური ფაქტორები), უზრუნველყონ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის ანალიზი, რაც მოიცავს მომხდარი უბედური შემთხვევის ყველა გამომწვევი ფაქტორის (მათ შორის: უშუალო და არსებითი/სისტემური) დადგენას;
 - 3. მიაწოდონ ზედამხედველ ორგანოს, დაზარალებულ დასაქმებულს ან მისი მოთხოვნით, მის მიერ უფლებამოსილ პირს (გარდაცვალების შემთხვევაში, ოჯახის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს) და კომისიის სხვა წევრებს უბედური შემთხვევის მოკვლევის მიმდინარეობისას შესაბამისი დოკუმენტაცია და მისი შედეგები;

24.3.6. უბედური შემთხვევის მომკვლევითი კომისიის მოთხოვნათა საფუძველზე დამსაქმებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს:

1. ლაბორატორიული კვლევა;
2. ექსპერტების მოწვევა;
3. დაზიანებული ობიექტებისა და უბედური შემთხვევის ადგილის დასურათება, სქემების, გეგმებისა და სხვა საჭირო ნახაზების შედგენა;
4. კომისიის წევრებისა და ექსპერტების საჭირო სპეცტანსაცმლითა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებებით აღჭურვა.

24.3.7. სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის დასრულების შემდგომ ფორმდება კომისიის მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმი (დანართი №13);

24.3.8. კომისიის მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. კომისიის წევრი უფლებამოსილია, განსხვავებული აზრი დაურთოს უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმს;

24.3.9. კომისიის მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმს უნდა დაერთოს:

1. საჭიროების შემთხვევაში, შემთხვევის ადგილის გეგმები, სქემები, ესკიზები, ფოტოსურათები და აუცილებლობის შემთხვევაში სხვა მტკიცებულებები;
2. ამონაწერები ინსტრუქტაჟების, სწავლების, ცოდნის შემოწმების და შრომის უსაფრთხოების წესების ცოდნის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტებიდან;
3. დაზარალებულთა ან/და თვითმხილველთა ახსნა-განმარტებები;
4. ექსპერტთა და სხვა მოწვეულ სპეციალისტთა დასკვნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
5. ლაბორატორიული ანალიზისა და კვლევის შედეგები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. სამედიცინო დასკვნა დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხზე ან მისი გარდაცვალების მიზეზებზე, აგრეთვე დაზარალებულის ალკოჰოლურ, ნარკოლოგიურ ან ტოქსიკოლოგიურ სიმთვრალეზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
7. დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს დაზარალებულისათვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გაცემას;
8. ზედამხედველი ორგანოს მიერ გაცემული მითითებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
9. ყველა სხვა დოკუმენტი, რომელთა არსებობასაც კომისია საჭიროდ მიიჩნევს.

24.3.10. კომისია ვალდებულია კომისიის მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმი (დანართი №13) და თანდართული მასალები მოკვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა მიაწოდოს: ზედამხედველ ორგანოს, დაზარალებულ დასაქმებულს, კომისიის სხვა წევრებს, შრომის უსაფრთხოების სამსახურს და იმ დეპარტამენტს, რომლის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ქვედანაყოფის სამუშაო სივრცეშიც მოხდა უბედური შემთხვევა.

24.4. უბედური შემთხვევის მოკვლევისა და მოკვლევის მასალების შენახვის ვადები

24.4.1. უბედური შემთხვევის გარემოება და მიზეზები მოკვლევული უნდა იქნეს კომისიის მიერ კომისიის შექმნიდან:

1. საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევისას – 10 კალენდარული დღის ვადაში;
2. მძიმე უბედური შემთხვევისას – 15 კალენდარული დღის ვადაში;
3. ფატალური უბედური შემთხვევისას – 7 კალენდარული დღის ვადაში;
4. მასობრივი უბედური შემთხვევისას – 30 კალენდარული დღის ვადაში.

24.4.2. წინამდებარე ინსტრუქციის 24.4.1 პუნქტით გათვალისწინებული მოკვლევის ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს იმავე ვადით კომისიის მიერ ერთხმად მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე. მოკვლევის ვადების გაგრძელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებისას მტკიცების ტვირთი ეკისრება კომისიას;

24.4.3. კომისია უფლებამოსილია ობიექტური გარემოებების არსებობისას ზედამხედველ ორგანოს წერილობით, დასაბუთებული განცხადებით მიმართოს, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის დენის შეჩერებასთან დაკავშირებით;

24.4.4. უბედური შემთხვევის მოკვლევის მასალები უნდა ინახებოდეს იმ სტრუქტურულ ერთეულში, რომლის სამუშაო სივრცეშიც მოხდა უბედური შემთხვევა და მის ზემდგომ დეპარტამენტში (სამსახურში), შემდეგი ვადით:

1. საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევა – 5 წელი;
2. მძიმე უბედური შემთხვევა – 7 წელი;
3. ფატალური უბედური შემთხვევა – 10 წელი;
4. მასობრივი უბედური შემთხვევა – 15 წელი.

25. პროფესიული დაავადებების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესი

(საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-11/ნ)

25.1. ზოგადი დებულებანი

პროფესიული დაავადების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესი (შემდგომში – წესი) ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე პროფესიული დაავადებების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების ერთიან სავალდებულო წესს.

25.2. მოქმედების სფერო

1. პროფესიული დაავადების აღრიცხვას, მოკვლევასა და ანგარიშგებას ექვემდებარება მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაო ადგილზე საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის საფრთხის შემცველი ფაქტორების ზემოქმედებით განვითარებული დასაქმებულის მწვავე ან ქრონიკული დაავადების შესაძლო შემთხვევა.

2. ეს წესი არ ვრცელდება:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურზე, საქართველოს დაზვერვის სამსახურზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებულ სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებაზე – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურზე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე და მათდამი დაქვემდებარებულ უწყებებზე, თუ ამ წესით გათვალისწინებული საკითხები რეგულირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემებში მოქმედი სპეციალური კანონმდებლობით;

ბ) შრომით საქმიანობაზე საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

25.3. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც ამ ბრძანებით დამტკიცებულ №1 დანართის მე-3 მუხლშია განმარტებული:

ა) **პროფესიული დაავადება** – დასაქმებულის მწვავე ან ქრონიკული დაავადება, რომელიც ვითარდება საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის საფრთხის შემცველი ფაქტორების ზემოქმედებით, იწვევს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ან/და პროფესიული შრომისუნარიანობის შეზღუდვას მოკლე პერიოდში ან ხანგრძლივად და განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით;

ბ) **მწვავე პროფესიული დაავადება** – დაავადება, რომელიც ვითარდება დასაქმებულზე მავნე საწარმოო ფაქტორ(ებ)ის ერთჯერადი (არაუმეტეს ერთი სამუშაო ცვლის განმავლობაში) ზემოქმედების შედეგად, რაც იწვევს პროფესიული შრომისუნარიანობის დროებით ან მუდმივ შეზღუდვას;

გ) **ქრონიკული პროფესიული დაავადება** – დაავადება, რომელიც ვითარდება საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის საფრთხის შემცველი ფაქტორების ხანგრძლივი ზემოქმედებით, იწვევს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ან/და პროფესიული შრომისუნარიანობის შეზღუდვას ხანგრძლივად და განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით;

დ) **შრომის პირობების სანიტარიულ-ჰიგიენური დახასიათება** – საწარმოო გარემოს და შრომითი პროცესის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური ფაქტორების ჰიგიენურ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა;

ე) **საფრთხის შემცველი ფაქტორები** – საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური ან ფიზიოლოგიური ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას დასაქმებულის ან სხვა პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და გამოიწვიოს პროფესიული დაავადება ან ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება.

25.4. დამსაქმებლის ვალდებულებები

დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) პროფესიული დაავადებების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოს ღონისძიებების გატარება (მუდმივ რეჟიმში) და მიიღოს პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის

აუცილებელი ზომები, საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირების მიზნით;

ბ) მწვავე პროფესიულ დაავადებაზე გონივრული ექვის მიტანის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გადაიყვანოს დასაქმებული სამედიცინო დაწესებულებაში, შემდგომი გამოკვლევების/მკურნალობის ჩატარების მიზნით და დაუყოვნებლივ აცნობოს ზედამხედველ ორგანოს;

გ) ზედამხედველი ორგანოს, ან/და შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულის წარმომადგენლ(ებ)ის, ასევე მის მიერ მწვავე ან ქრონიკულ პროფესიულ დაავადებაზე გონივრული ექვის მიტანის შემთხვევაში, შესაძლო პროფესიული დაავადების გამომწვევი მიზეზ(ებ)ის დადგენის მიზნით შექმნას პროფესიული დაავადების მოკვლევის ჯგუფი (შემდგომში – ჯგუფი); ან/და საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები: „პროფესიული პათოლოგიების“ მიმართულებით სპეციალიზებული ექიმ-სპეციალისტ(ებ)ი ან/და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტ(ებ)ი (ჰიგიენის, გარემოს ჯანმრთელობისა და პროფესიული მედიცინის და სხვ. შესაბამის სფეროში) ან/და ქიმიკოსი ან/და ტოქსიკოლოგი და სხვა, რომელთა მომსახურების ხარჯებს სრულად დაფარავს დამსაქმებელი;

დ) გაატაროს ჯგუფის ან/და შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ის მიერ განსაზღვრული ღონისძიებები;

ე) შესაძლო პროფესიული დაავადების გამომწვევი მიზეზ(ებ)ის დადგენის შემდეგ 15 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს პროფესიული დაავადების დადგენის მიზნით დასაქმებულისთვის შესაბამის დაწესებულებაში კვლევების ჩატარების პროცესის დაწყება;

ვ) აღრიცხოს დადგენილი პროფესიული დაავადებები №14 დანართის შესაბამისად და წარუდგინოს ზედამხედველ ორგანოს პროფესიული დაავადების დადგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

25.5. პასუხისმგებლობა

პასუხისმგებლობა პროფესიული დაავადების დროულ მოკვლევა, აღრიცხვასა და ანგარიშგებაზე, ასევე შესაძლო პროფესიული დაავადების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის ღონისძიებების შემუშავებასა და მათ პრევენციაზე ეკისრება დამსაქმებელს.

25.6. პროფესიული დაავადების მოკვლევა

1. შესაძლო მწვავე ან ქრონიკულ პროფესიულ დაავადებაზე ექვის მიტანის შემთხვევაში ან/და პროფესიული დაავადების შესაძლო გამომწვევი მიზეზ(ებ)ის დადგენის მიზნით იქმნება ჯგუფი ან/და მოიწვევა შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ი: „პროფესიული პათოლოგიების“ მიმართულებით სპეციალიზებული ექიმ-სპეციალისტ(ებ)ი ან/და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტ(ებ)ი (ჰიგიენის, გარემოს ჯანმრთელობისა და პროფესიული მედიცინის და სხვ. შესაბამის სფეროში) ან/და ქიმიკოსი ან/და ტოქსიკოლოგი და სხვა;

2. ჯგუფის ან/და სპეციალისტ(ებ)ის მოწვევის მიზანია დაადგინოს/განსაზღვროს ის საწარმოო ფაქტორები, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს დასაქმებულის ჯანმრთელობაზე, გამოიწვიოს მწვავე ან ქრონიკული პროფესიული დაავადება;

3. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან:

ა) დამსაქმებელი ან მისი უფლებამოსილი პირი (ჯგუფის ხელმძღვანელი);

ბ) დასაქმებულთა წარმომადგენელი შრომის უსაფრთხოების საკითხებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) პროფესიული კავშირის გაერთიანების წარმომადგენელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. თუ ჯგუფის შემადგენლობაში შედის მხოლოდ ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წევრი, დამსაქმებელი ვალდებულია მოიწვიოს ამ წესის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ი;

5. ზედამხედველი ორგანოს წარმომადგენელი, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს შესაძლო პროფესიული დაავადების მოკვლევის ჯგუფში;

6. ჯგუფი გადაწყვეტილებას იღებს წევრთა ხმების უმრავლესობით;

7. ჯგუფის შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია წერილობითი ფორმით გამოქვეყნდება დასაქმებულთათვის თვალსაჩინო ადგილას;

8. ჯგუფის ან/და სპეციალისტების მიერ შესაძლო პროფესიული დაავადების შესაძლო გამოძწვევი მიზეზ(ებ)ის დადგენას ახდენს 60 კალენდარული დღის ვადაში. დადგენილი ვადა შესაძლოა გაგრძელდეს ერთჯერადად იმავე ვადით.

25.7. ზედამხედველი ორგანოს უფლება-მოვალეობი

ზედამხედველი ორგანო უფლებამოსილია:

ა) მოახდინოს შესაბამისი რეაგირება შემოსულ შეტყობინებაზე დასაქმებულის შესაძლო მწვავე ან ქრონიკული პროფესიული დაავადების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს დამსაქმებელს ჯგუფის შექმნა ან/და სპეციალისტ(ებ)ის მოწვევა. ამ მუხლის მიზნებისთვის შეტყობინებად ითვლება დამსაქმებლის, დასაქმებულის, სხვა პირ(ებ)ის მიერ წერილობითი ფორმით დაფიქსირებული შეტყობინება ან ცხელ ხაზზე შემოსული დასაბუთებული ინფორმაცია;

ბ) საკუთარი ინიციატივით შეადგინოს შრომის პირობების სანიტარიულ-ჰიგიენური დახასიათება და წარუდგინოს დამსაქმებელს და ჯგუფს;

გ) საჭიროების შემთხვევაში, შექმნას დამოუკიდებელი კომისია დასაქმებულის შესაძლო მწვავე ან ქრონიკული პროფესიული დაავადების დადგენის მიზნით;

დ) ჰქონდეს წვდომა ყველა ინფორმაციაზე, რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულის შესაძლო მწვავე ან ქრონიკული პროფესიული დაავადების მოკვლევას;

ე) შესაძლო მწვავე ან ქრონიკული პროფესიული დაავადების მოკვლევის მიზნით, განახორციელოს თვითმხილველთა, სხვა დასაქმებულთა, დამსაქმებლის და სხვა პირების ინტერვიუება.

26. შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის კონტროლი

26.1. საერთო მოთხოვნები

26.1.1. სს „საქართველოს რკინიგზის“ ობიექტებზე შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის კონტროლი ითვალისწინებს:

- უსაფრთხოების სტანდარტების სისტემის, შრომის უსაფრთხოების ნორმების, წესების, ინსტრუქციებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებიდან გადახრების გამოვლენას;
- შემოწმებას, თუ როგორ სრულდება ხელმძღვანელი პირების მხრიდან თავიანთი მოვალეობები შრომის უსაფრთხოების კუთხით;
- შემოწმებას, იცავენ თუ არა დასაქმებულები მუშაობის პროცესში შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებს.

კონტროლის შედეგების საფუძველზე უნდა განხორციელდეს ღონისძიებები გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

26.1.2. სს „საქართველოს რკინიგზის“ ობიექტებზე გამოიყენება შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის სამსაფეხურიანი კონტროლის შემდეგი სახეობები:

- I საფეხური - ოპერატიული კონტროლი, რომელსაც ახორციელებენ სამუშაოთა ხელმძღვანელები (ოსტატები, საამქროს უფროსები, ცვლის უფროსები, ცენტრების და პუნქტების უფროსები, შუალედურ სადგურებში - სადგურის უფროსები, განმკარგულებელი და I კატეგორიის სადგურებში - ინჟინრები და ა.შ.);
- II საფეხური - ადმინისტრაციული კონტროლი, რომელსაც ახორციელებს სტრუქტურული ქვედანაყოფის (სამმართველოების, დეპოების, განმკარგულებელი სადგურების, რეგიონალური ცენტრების) ადმინისტრაცია, შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენლის მონაწილეობით;
- III საფეხური - დარგობრივი კონტროლი, რომელსაც ახორციელებენ სს „საქართველოს რკინიგზის“ დეპარტამენტები (სამსახურები).

26.1.3. შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის გაუარესებისას, სს „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობის მიერ უნდა დაწესდეს კონტროლის განსაკუთრებული პირობები, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის კონტროლის მკვეთრ გაძლიერებას.

26.2. კონტროლის I საფეხური (ოპერატიული კონტროლი)

26.2.1. ოპერატიული კონტროლი ხორციელდება ყოველდღიურად (ყოველ ცვლაში), უშუალო ხელმძღვანელების მიერ სამუშაო ადგილებზე, მომუშავეთა მხრიდან შრომის უსაფრთხო წესების და მეთოდების გამოყენების, მოწყობილობების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების მოთხოვნების და შრომის დაცვის ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისათვის.

26.2.2. სამუშაოს დაწყებისას და მუშაობის პროცესში მოწმდება:

- დროულად არის თუ არა შეტანილი ლიანდაგების, ისრული გადამყვანების, სცბ-ს მოწყობილობებისა და საკონტაქტო ქსელის შემოწმების ჟურნალში ჩანაწერები სამუშაოთა წარმოების ადგილისა და დროის შესახებ, არის თუ არა განაცხადები სამუშაოების წარმოებისას გაფრთხილებათა გაცემის თაობაზე;

- არის თუ არა სადგურებში, მისასვლელ ლიანდაგებსა და საწარმოთა ტერიტორიაზე არაგაბარითული ადგილები და უზრუნველყოფილია თუ არა ისინი სპეციალური ნიშნებით;
- ასრულებენ თუ არა ვაგონების ტექნიკური მომსახურების პუნქტების მუშაკები უსაფრთხოების ღონისძიებებს(განსაკუთრებით ლიანდაგებზე გადასვლისას);
- სამოსამსახურო გასავლელელების გამოყენება;
- დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა წარმოებისას, განსაკუთრებით კი ელექტროგადამცემი ხაზების სიახლოვეს ტვირთამწე მექანიზმების გამოყენებით და სიმაღლეზე მუშაობისას შრომის უსაფრთხოების მოთხოვნათა უზრუნველყოფა;
- განწესის გაფორმების სისწორე და საკონტაქტო ქსელების, ელექტროგადამცემი ხაზებისა და ელექტროდანადგარების მომსახურებისა და შეკეთების დროს უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნათა შესრულება;
- საავტომობილო და ძრავიანი სარელსო ტრანსპორტის გამოყენებისას შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების, საგზაო წესების და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების მოთხოვნების შესრულება;
- გაცემული სპეცტანსაცმლის, სპეცფეხსაცმლის და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებების გამოყენება;
- წინა შემოწმების დროს გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრა, სამუშაო ადგილების მდგომარეობა, მუშაკთა მზადყოფნა მათი სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად (ჯანმრთელობის მდგომარეობა), ინსტრუმენტების ვარგისიანობა, ვენტილაციის, განათების, ჩამიწების სისტემის ვარგისიანობა, გასასვლელელების და გასავლელელების მდგომარეობა, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების, პირველადი დახმარების გასაწევად საჭირო მცირე აფთიაქების არსებობა და ა.შ.

26.3. კონტროლის II საფეხური (ადმინისტრაციული კონტროლი)

26.3.1. ადმინისტრაციული კონტროლი ტარდება სტრუქტურული ქვედანაყოფების ადმინისტრაციის მიერ, შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელთან ერთად სამუშაო ადგილებზე, საწარმოო უბნებზე, საამქროებსა და მთლიანად საწარმოში, შრომის პირობებისა და შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის კონტროლის მიზნით.

ადმინისტრაციული კონტროლი უნდა განხორციელდეს არანაკლებ თვეში ერთხელ.

26.3.2. კონტროლის ობიექტებია:

- სამუშაო ადგილები, მოწყობილობები, დამცავი საშუალებები;
- ბრიგადებში, პოსტებზე, ჯგუფებში და სხვა მათ ანალოგიურ ქვედანაყოფებში, საწარმოო უბნებში, პუნქტებში, საამქროებში და ა.შ. დასაქმებული სამუშაოს შემსრულებლები;
- საწარმოო უბნები, საამქროები, პუნქტები და სტრუქტურული ქვედანაყოფებში შემავალი სხვა ობიექტები.

26.3.3. უნდა შემოწმდეს:

- სამუშაოს შემსრულებელთა საერთო მდგომარეობა და მათი მზადყოფნა მუშაობისათვის;



- აქვთ თუ არა მუშაკებს ლოკომოტივის, დრეზინის, ამწის, თვითმცლელი სალიანდაგო მანქანის, ავტოსატრანსპორტო საშუალების და სხვა სპეცტექნიკის მართვის, აგრეთვე სპეციალურ სამუშაოთა წარმოების უფლების დადგენილი ფორმის მოწმობა;
- აქვთ თუ არა და სწორად არის თუ არა გაფორმებული განწეს-დაშვება იმ სამუშაოთა საწარმოებლად, რომელიც საჭიროებს განწეს-დაშვების შევსებას (სამუშაოები საკონტაქტო ქსელზე, ელექტროგადამცემ ხაზებზე, წევის ქვესადგურებში და სხვა);
- ტარდება თუ არა შრომის უსაფრთხოების დაწესებული ინსტრუქტაჟები და არის თუ არა ინსტრუქტირებული მუშაკების ხელმოწერები;
- დაცულია თუ არა ლიანდაგებზე სამუშაოთა წარმოების ადგილის შეზღუდვის წესი. არიან თუ არა მესიგნალები, არის თუ არა სიგნალები და სასიგნალო ნიშნები, აგრეთვე ლიანდაგების, ისრული გადამყვანების, სცბ-ს მოწყობილობებისა და საკონტაქტო ქსელის შემოწმების ჟურნალში ჩანაწერები სამუშაოთა წარმოების თაობაზე;
- ლიანდაგებზე უსაფრთხო გადაადგილების მარშრუტები, ადგილები, სადაც უნდა იმყოფებოდნენ მუშაკები მოძრავი შემადგენლობის მოძრაობისას;
- ნაგებობებთან მიახლოებისა და ლიანდაგის სიახლოვეს განთავსებული ტვირთის გაბარიტების დაცვა, შრომის უსაფრთხოების ნიშნებისა და მაფრთხილებელი შეფერილობების არსებობა;
- მოძრავი შემადგენლობის, მანქანა-მოწყობილობების და სამუშაო ხელსაწყოების ვარგისიანობა, ბლოკირების მოწყობილობებისა და მაფრთხილებელი სიგნალიზაციის მოქმედება;
- სამუშაო ადგილების, შემოღობვების, ფენილების, ხარაჩოების, ბაქნების მდგომარეობა, ხომ არ არის გარეშე საგნები, თავისუფალია თუ არა გასასვლელელები, საკმარისია თუ არა განათება, როგორ მუშაობს სავენტილაციო მოწყობილობები;
- არის თუ არა ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებები;
- არის თუ არა სამუშაო ადგილებზე შრომის დაცვის ინსტრუქციები და უსაფრთხო შრომის წესები;
- როგორ სრულდება წინა შემოწმებებისას გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებები, სამუშაო ადგილებზე მომუშავეთა მიერ უსაფრთხო შრომის წესების დაცვა;
- შრომის უსაფრთხოების საკითხებზე სს „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობის ბრძანებებისა და მითითებების შესრულება;
- უბედურ შემთხვევათა და ავარიათა მოკვლევის მასალების მიხედვით შემუშავებული ღონისძიებების შესრულება;
- მომუშავეთა სპეცტანსაცმლით, სპეცფეხსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებებით და სამარჯვებით უზრუნველყოფა, მათი მდგომარეობა, გაცემის, შენახვის, რეცხვის, წმენდის და შეკეთების ორგანიზაციის სისწორე;
- სანიტარულ-საყოფაცხოვრებო სათავსების და მოწყობილობების მოვლა-შენახვა;
- მომუშავეთა სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურების ორგანიზაცია, მათ შორის სამედიცინო შემოწმებების დროული ჩატარება;
- შრომის უსაფრთხოების კუთხეების მდგომარეობა;
- შრომის უსაფრთხოების სტენდების მდგომარეობა, მათი დროული და სწორი გაფორმება, შრომის უსაფრთხოების დარგში თვალსაჩინოებების მდგომარეობა;
- შრომის უსაფრთხოების საკითხებში სწავლების, ინსტრუქტირებისა და ცოდნის შემოწმების განხორციელება;

- ავარიულ და არასტანდარტულ სიტუაციებში მუშაობისათვის პერსონალის მომზადება;
- შრომის და დასვენების რეჟიმების დაცვა.

26.4. კონტროლის III საფეხური (დარგობრივი კონტროლი)

- 26.4.1. დარგობრივი კონტროლი ითვალისწინებს შემოწმებებს დაქვემდებარებულ საწარმოებში შრომის პირობებისა და შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის სრულ კონტროლს და ხორციელდება კვარტალში ერთხელ.
- 26.4.2. დარგობრივი კონტროლი უნდა მოიცავდეს მეურნეობის ყველა ქვედანაყოფს. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება შეიქმნას დარგობრივი კომისია, რომლის შემადგენლობაც განისაზღვრება სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის ბრძანებით. კომისიის შემადგენლობაში ჩაირთვებიან დეპარტამენტის (სამსახურის) უფროსის მოადგილეები (ტექნიკურ საკითხებში), შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები, შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენლები, საკადრო საკითხებზე მომუშავე სპეციალისტები, ელექტრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები და სხვა.
- 26.4.3. მესამე საფეხური ტარდება შენობების, ნაგებობების, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების, მანქანა-მექანიზმების, მოძრავი შემადგენლობების ტექნიკური დათვალიერების მიზნით, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოთა მომზადებას წელიწადის გარკვეული პერიოდისათვის.
- 26.4.4. მესამე საფეხურის კონტროლის მიმდინარეობისას მოწმდება:
- კონტროლის I და II საფეხურების წარმოების ორგანიზაცია და წინა შემოწმებებისას დასახული ღონისძიებების შესრულება;
 - სამსაფეხურიანი კონტროლის, ინსტრუქტაჟების და ტექნიკური მეცადინეობების ჟურნალების წარმოება;
 - შრომის უსაფრთხოების საკითხებზე სს „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობის ბრძანებებისა და მითითებების შესრულება;
 - შენობების, ნაგებობების, სამუშაო სივრცეების, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების, მანქანა-მექანიზმების, მოძრავი შემადგენლობების მდგომარეობა;
 - სანიტარულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობების არსებობა, მათი მდგომარეობა, დასაქმებულთა უზრუნველყოფა სპეცტანსაცმლით, სპეცფეხსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
 - ძაბვის ქვეშ მომუშავე და სავენტილაციო დანადგარების, გაზის მოწყობილობების და აპარატურის მდგომარეობა და ექსპლუატაცია;
 - ტექნოლოგიური მოწყობილობების სამარჯვების მდგომარეობა და მომსახურება;
 - ტვირთამწე მექანიზმების, ტვირთსატაცი და მისაბმელი სამარჯვების მდგომარეობა და ექსპლუატაცია;
 - ელექტრო მოწყობილობებისა და ელექტრო სადენების მდგომარეობა, ჩასამიწებელ მოწყობილობათა გამოცდა;
 - აბრაზიული იარაღების და სამუშაო ინსტრუმენტების ექსპლუატაცია;
 - ტექნიკური და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის შრომის უსაფრთხოებისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხების სწავლება და ცოდნის შემოწმება, სათანადო ინსტრუქტაჟების ჩატარება და დოკუმენტაციის წარმოება;

- ქალთა და მოზარდთა შრომის, საყოფაცხოვრო და დასვენების პირობები;
- შხამ-ქიმიკატებისა და სხვა მავნე და მომწამვლელი ნივთიერებების შენახვა და გამოყენება;
- საწარმოო ტრავმატიზმთან დაკავშირებული მდგომარეობა, უბედურ შემთხვევათა გარემოების განხილვის ორგანიზაცია, წარმოებაში უბედურ შემთხვევათა თავიდან აცილების ღონისძიებათა შესრულების კონტროლის ორგანიზაცია;
- მომუშავეთა შრომის და დასვენების დადგენილი რეჟიმების უზრუნველსაყოფად მუშაობის და მისდამი კონტროლის ორგანიზება;
- ელექტრო უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შესრულება;
- შრომის უსაფრთხოების კომპლექსური და სხვა გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება.

26.5. კონტროლის ყველა საფეხურზე, შემოწმების განსახორციელებლად, სტრუქტურული ერთეულისთვის/ქვედანაყოფისთვის ადგილობრივი პირობებისა და მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებული და დამტკიცებული უნდა იყოს სამუშაო ადგილის შემოწმების კითხვარი (ნიმუში წარმოდგენილია **დანართი 15-ით**), რომელიც უნდა შეივსოს შემმოწმებლის მიერ.

26.6. შემოწმების სამივე სახის კონტროლის ჩატარების შედეგები შეტანილი უნდა იქნეს შემოწმებული ქვედანაყოფის სამსაფეხურიანი კონტროლის ჟურნალში.

27. გარემოსდაცვითი მდგომარეობის კონტროლი

27.1. საერთო მოთხოვნები

27.1.1. სს „საქართველოს რკინიგზა“-ში გარემოსდაცვითი მდგომარეობის კონტროლი ითვალისწინებს:

- გარემოსდაცვითი ნორმების, წესების, ინსტრუქციებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებიდან გადახრების გამოვლენას;
- შემოწმებას, თუ როგორ სრულდება ხელმძღვანელი პირების მხრიდან თავიანთი მოვალეობები გარემოსდაცვითი კუთხით;
- შემოწმებას, იცავენ თუ არა დასაქმებულები მუშაობის პროცესში გარემოსდაცვით მოთხოვნებს;
- კონტროლის შედეგების საფუძველზე უნდა განხორციელდეს ღონისძიებები გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;
- გარემოსდაცვითი ინსპექტირების პროცესში გადამოწმებული იქნება კომპანიის საკუთრებაში არსებული ობიექტების მიერ სანებართვო ან/და სალიცენზიო პირობების შესრულების მდგომარეობა, ამასთანავე გადამოწმდება ზოგადი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- საჭიროების შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი რეკომენდაციები;
- გარემოსდაცვითი მონიტორინგი/ინსპექტირება ჩატარდება 6 თვეში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში დაიგეგმება დამატებითი გასვლითი ინსპექტირებები;

- ყოველი ინსპექტირების შემდგომ შედგენილ იქნება ინსპექტირების ანგარიში და წარედგინება გარემოსდაცვით სფეროში დასაქმებულ პერსონალს;
- გაკონტროლდება ინსპექტირების ანგარიშის შედეგების გამოსწორება და დაისახება კონკრეტული ვალდებულებების გონივრულ ვადაში შესრულების აუცილებლობა.

28. სამუშაო ადგილებზე და ქვედანაყოფებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვის სისტემის განხორციელების აუდიტი

28.1. ზოგადი დებულებანი

28.1.1. აუდიტის პროცედურები ხორციელდება შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნების დარღვევების, საწარმოო ტრავმების და პროფესიული დაავადებების აღმოფხვრის მიზნით.

გამოიყენება აუდიტის შემდეგი სახეობები:

- მიმდინარე საქმიანობის აუდიტი;
- პერიოდული აუდიტი;

28.1.2. აუდიტმა უნდა უზრუნველყოს :

- შრომის უსაფრთხოების სფეროში საქმიანობის შედეგების უკუკავშირი;
- მავნე და საშიში ფაქტორების გამოვლენის და აღმოფხვრის მიმდინარე ღონისძიებების ეფექტურობის და შედეგიანობის შესახებ ინფორმაცია;
- გარემოსდაცვითი ნორმების დარღვევების აღმოფხვრა;
- გარემოსდაცვითი მონიტორინგის მკაცრი წესით წარმოება;
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვის სისტემის ეფექტურობის შემოწმება.

28.2. მიმდინარე საქმიანობის აუდიტი.

28.2.1. მიმდინარე საქმიანობის აუდიტის ჩატარების მიზანია სამუშაოსთვის შემსრულებლების მზადყოფნის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი პირობების შესაბამისობის შემოწმება.

28.2.2. მიმდინარე საქმიანობის აუდიტი ხორციელდება შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი სამსახურის წარმომადგენლების მიერ. ინსპექტორები ახორციელებენ პერსონალის მხრიდან დავალების უსაფრთხოდ და კანონის შესაბამისად შესრულების კონტროლს.

28.2.3. მიმდინარე საქმიანობის აუდიტის შინაარსი და მოცულობა პროფესიების მქონე პერსონალისთვის განისაზღვრება შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ინსტრუქციებით. ინსტრუქციების შინაარსს და მოცულობას განსაზღვრავს საინჟინრო-ტექნიკური განყოფილება.

28.2.4. სპეციალისტის მხრიდან მიმდინარე აუდიტის შინაარსი და მოცულობა განისაზღვრება წინამდებარე მართვის სისტემის მე-11 მუხლით.

28.2.5. შემოწმებას ექვემდებარება:

- დამცავი ღობეების, ზღუდარების, კიბეების, სამუშაო პლატფორმების და ყალიბის დამჭერების მდგომარეობა და სწორად გამოყენება;
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების არსებობა, მდგომარეობა და მათი სწორად გამოყენება;
- ხელსაწყოების გამართულობა;
- თხრილების, ღობეების კიდეების მდგომარეობა;
- გასასვლელების გაბარიტების დაცვა და მათი გათავისუფლება ჩახერგვისგან;
- მასალის სწორად დასაწყობება;
- ელექტროუსაფრთხოების მდგომარეობა;
- სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობა;
- სანიტარულ-ჰიგიენური პირობები;
- სამუშაო ადგილებზე და სამუშაო სივრცეში ვენტილაციისა და განათების არსებობა და მათი შესაბამისობა დადგენილ ნორმებთან.

28.2.6. შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოჩენისას სპეციალისტი ვალდებულია:

- შეაფასოს დარღვევის შედეგების პოტენციური საფრთხე და გასცეს საფრთხის დონის ადეკვატური რეკომენდაციები;
- შეაწყვეტინოს მუშაობა იმ შემთხვევაში, როდესაც შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევებს შეუძლია მიიყვანოს ტრავმების ან/და ავარიების შედეგამდე, სანამ დარღვევები არ იქნება აღმოფხვრილი;
- გასცეს რეკომენდაციების შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დამრღვევი პირებისთვის დისციპლინური სასჯელის დაკისრების შესახებ;
- სამუშაოს შეჩერების შესახებ შეატყობინოს შესაბამისი ობიექტის და შრომის უსაფრთხოების სამსახურის ზემდგომ ხელმძღვანელს.

28.3. პერიოდული აუდიტი

28.3.1. პერიოდული აუდიტის ჩატარების მიზანია სამუშაო სივრცეში დასაქმებულების შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელებისთვის მზადყოფნის შემოწმება, და ასევე სამუშაოთა მწარმოებლებისა და მომუშავეების მხრიდან შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი მოვალეობების განხორციელების სისწორე.

28.3.2. პერიოდული აუდიტი ხორციელდება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ან შრომის უსაფრთხოების სამსახურის მუშაკების მიერ. კონტროლის შინაარსი და მოცულობა აღნიშნული პირების მხრიდან აღწერილია მათ ფუნქცია-მოვალეობებში, წინამდებარე მართვის სისტემის მე-11 მუხლში.

28.3.3. **11.3 პუნქტში** მითითებული პირობების შესაბამისად შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სამსახურის ინსპექტორები ანხორციელებენ კონტროლს მუდმივად თავისი კომპეტენციის და მოვალეობის ფარგლებში ან შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სამსახურის მიზნობრივ შემოწმებებში მონაწილეობით.

შემოწმებას ექვემდებარება:

- სამუშაოების ორგანიზების შესაბამისობა ტექნოლოგიურ რუკებთან და გეგმებთან მიმართებაში;
- სამუშაოების ორგანიზების შესაბამისობა გარემოსდაცვით დოკუმენტაციებთან;
- სამუშაო ადგილზე ინსტრუქტაჟის ჩატარების თანმიმდევრობის დაცვა;
- ტექნიკის და საწარმოო აღჭურვილობის გამოყენების უსაფრთხოება;
- მავნე და ხანძარსაშიშ ნივთიერებებთან მუშაობისას უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა;
- სახიფათო ნარჩენებთან მუშაობისას უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა;
- უსაფრთხო ტექნოლოგიის დაცვა სამუშაოს წარმოებისას;
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ნიშნების და პლაკატების არსებობა;
- გასასვლელების მდგომარეობა და ასევე საგზაო ნიშნების არსებობა, თუ სამუშაო ხორციელდება გზის სავალ ნაწილზე ან დასახლებულ პუნქტში;
- ობიექტის უზრუნველყოფა ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციით;
- სამუშაო ზონის ჩამიწების გენერალური გეგმის შესაბამისობა;
- ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების შესაბამისობა;
- ამწე-მექანიზმების, მოწყობილობების შესაბამისობა უსაფრთხოების ნორმებთან და მათი გამოყენების სისწორე;
- სწავლებების, ინსტრუქტაჟების, სტაჟირებების და სამედიცინო შემოწმებების დროული ჩატარება;
- განწესის წარმოების სისწორე;
- ადგილის მზადყოფნა საგანგებო სიტუაციის დადგომის შემთხვევაში.

28.3.4. შრომის უსაფრთხოების სამსახურის კონტროლი უნდა ფიქსირდებოდეს დანართ 16 - ში მოყვანილი შესაბამისი ანგარიშის ფორმით, რომლის რეგისტრაციაც ხდება კომპანიაში არსებული წესით. ერთი ასლი ჩაბარდება პირს, ვისაც დაევალია გამოსასწორებელი ღონისძიებების გატარება, მეორე ასლი ეგზავნება ამ პირის ზემდგომ თანამდებობის პირს, ხოლო მესამე ასლი ინახება შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ. ამასთანავე გონივრული ვადის ამოწურვისას, აღნიშნული გამოსასწორებელი ღონისძიებები გადამოწმებული იქნება შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ.

28.3.5. გარემოსდაცვის სამსახურის კონტროლი უნდა ფიქსირდებოდეს დანართ 18-ში მოყვანილი შესაბამისი ანგარიშის ფორმით, რომლის რეგისტრაციაც ხდება კომპანიაში არსებული წესით. ერთი ასლი ჩაბარდება პირს, ვისაც დაევალია გამოსასწორებელი ღონისძიების გატარება, მეორე ასლი ეგზავნება ამ პირის ზემდგომ თანამდებობის პირს, ხოლო მესამე ასლი ინახება გარემოს დაცვის სამსახურის მიერ. ამასთანავე გონივრული ვადის ამოწურვისას, აღნიშნული გამოსასწორებელი ღონისძიებები გადამოწმებული იქნება გარემოს დაცვის სამსახურის მიერ.

29. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვის სისტემის დოკუმენტების მართვა

29.1. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვის სისტემის დოკუმენტების მართვის მიზნით კომპანიის დირექტორი განსაზღვრავს და ამტკიცებს ფორმებს და რეკომენდაციებს, შიდა ნორმატიული აქტების და სხვა დოკუმენტების გაფორმებისთვის.

29.2. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვის სისტემის განსაკუთრებული ტიპის დოკუმენტებს, რომლებიც არ ექვემდებარება გადახედვას, განახლებას და შეცვლას, წარმოადგენს:

- აქტები და სხვა ჩანაწერები, რომლებიც დაკავშირებულია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვის სისტემის განხორციელებასთან;
- ავარიების, უბედური შემთხვევების, პროფესიული დაავადებების მონაცემების, გარემოსდაცვითი ჟურნალები, აქტები და ჩანაწერები;
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვის სისტემის ფუნქციონირების კონტროლი.

30. დასკვნითი დებულებანი.

30.1. მოქმედი კანონმდებლობის შეცვლის შემთხვევაში, წინამდებარე მართვის სისტემა ექვემდებარება გადახედვას.

30.2. ყველა სხვა საკითხთან დაკავშირებით, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე მართვის სისტემაში, კომპანიის ხელმძღვანელმა პირებმა უნდა იხელმძღვანელონ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით სფეროში მოქმედი კანონმდებლობით.

30.3. წინამდებარე მართვის სისტემას უნდა გაეცნოს კომპანიის ყველა თანამშრომელი.

31. დანართები

რისკის შეფასების ფორმა

შემფასებლის სახელი და გვარი:		თარიღი:	
სამუშაო ობიექტის დასახელება:		დრო:	
სამუშაოს მოკლე აღწერა:			

საფრთხეთა იდენტიფიცირება	ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალა	პირთა წრე	დამავების / დაზიანების ტიპი	არსებული კონტროლის ზომები	საწყისი რისკი			დამატები თი კონტრო ლის ზომები	ნარჩენი რისკი			გასატარებელი ზომები / რეაგირება	შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი / ვადა	გადახედვის სავარაუდო თარიღი
					ა°	შ°	რ° (ააშ)		ა°	შ°	რ° (ააშ)			

შეთანხმებულია	_____	ხელმოწერა	
	თანამდებობა, სახელი, გვარი		

„ა“ - ალბათობა „შ“ - შედეგი (სიმძიმე) „რ“ - რისკის დონე (რეიტინგი)
რისკის შეფასების მატრიცა (სარეკომენდაციო)

შედეგი

5	5	10	15	20	25
4	4	8	12	16	20
3	3	6	9	12	15
2	2	4	6	8	10
1	1	2	3	4	5
	1	2	3	4	5

ა ლ ბ ა თ ო ბ ა

რისკის დონე = ალბათობა x შედეგი

ალბათობა

- 1 = ძალიან საეჭვოა;
- 2 = საეჭვოა;
- 3 = შესაძლებელია;
- 4 = სავარაუდოა;
- 5 = განსაზღვრულია.

- 3 = ზომიერი – დროებითი შრომისუუნარობა;
- 4 = სერიოზული – სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობა;
- 5 = კატასტროფული – სიკვდილი ან მუდმივი შრომისუუნარობა.

შედეგი

- 1 = უმნიშვნელო – დაზიანების გარეშე;
- 2 = მცირე – დაზიანება საჭიროებს პირველად სამედიცინო დახმარებას;



რისკის დონე	ა x შ
კრიტიკული	20 – 25
მაღიან მაღალი	10 – 16
მაღალი	5 – 9
საშუალო	3 - 4
დაბალი	1 – 2

შედეგი	20-25	5 - 16	3 - 4
	კრიტიკული	არსებითი	არაარსებითი
საჭირო ღონისძიებები	სამუშაო უნდა შეჩერდეს. დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული ზომები რისკის შესამცირებლად.	საოპერაციო პროცედურები და სამუშაოს შესრულების მონიტორინგი. შემუშავდეს რისკის შემცირების პროცედურები/ დაიგეგმოს რისკის შემცირების საკონტროლო ღონისძიებები. შეფასდეს პრიორიტეტები.	სამუშაოს შესრულების მონიტორინგი. შემუშავდეს რისკის შემცირების პროცედურები/ საკონტროლო ღონისძიებები.

რისკების კატეგორიები სიმძიმის მიხედვით

<p>კრიტიკული (20 – 25)</p>	<p>კრიტიკული შეუსაბამობა – მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და რომლის დაუყოვნებლივ გამოსწორება სავალდებულოა</p>	<p>სამუშაოები უნდა შეჩერდეს დაუყოვნებლივ.</p>
<p>მაღიან მაღალი (10 – 16)</p>	<p>არსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია, და რომელიც მოცემულ მომენტში საშიშროებას არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, თუმცა მისი გამოსწორებლობა ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის</p>	<p>ღონისძიებების გატარება სავალდებულოა დაუყოვნებლივ, სამუშაოების შეჩერების გარეშე.</p>
<p>მაღალი (5 - 9)</p>	<p>არსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია, და რომელიც მოცემულ მომენტში საშიშროებას არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, თუმცა მისი გამოსწორებლობა ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის</p>	<p>გონივრულ ვადებში მიიღეთ ზომები შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით (სავალდებულოა)</p>
<p>საშუალო (3 – 4)</p>	<p>არაარსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია ჩვეულებრივი სამუშაო პროცესის შეჩერების გარეშე და რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას პირდაპირ საფრთხეს არ უქმნის</p>	<p>ღონისძიებების გატარება სავალდებულოა, მაგრამ არა დაუყოვნებლივ.</p>
<p>დაბალი (1 - 2)</p>	<p>მისაღები რისკი (მათ შორის ნარჩენი რისკი)</p>	<p>ზომების მიღება არ არის სავალდებულო</p>

სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების/ინციდენტების რეგისტრაციის ჟურნალი

№.	შემთხვევის ადგილი	თარიღი	დრო	დაზარალებული თანამშრომელი/დაზიანებული უძრავ-მოძრავი ქონება	ინციდენტის აღწერილობა	გამოსასწორებელი ღონისძიებები
1						
2						
3						

 საქართველოს რკინიგზა 1872-დან	ინციდენტის ანგარიშის ფორმა	
შემთხვევის ზუსტი დრო და რიცხვი		
მდებარეობა; ობიექტი:		
ზარალი/დაზარალებული (ადამიანი, ტექნიკა, უძრავი ქონება)		
ვინ/რა დაშავდა/დაზარალდა?	ვიზიტორი <input type="checkbox"/> თანამშრომელი <input type="checkbox"/> სპეც. ტექნიკა <input type="checkbox"/> სხვა <input type="checkbox"/>	გარემო <input type="checkbox"/> კონტრაქტორი <input type="checkbox"/> უძრავი ქონება <input type="checkbox"/> ვიზიტორი <input type="checkbox"/>
დაზიანების ტიპი:		
ინციდენტის აღწერილობა:		
ანგარიშის მომზადებლის ხელმოწერა:		

სს. "საქართველოს რკინიგზის"

შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სამსახურის შემაჯამებელი ანგარიში.

დანართი 4

___/___/___წ.

მომხდარი ინციდენტები						
n.	შემთხვევის ადგილი	თარიღი	დრო	დაზარალებული თანამშრომელი/დაზიანებული უძრავ-მოდრავი ქონება	ინციდენტის აღწერილობა	გამოსასწორებელი ღონისძიებები
1						
2						
შრომის უსაფრთხოების ჩატარებული შემოწმება/ინსპექტირება						
n.	დაწყების თარიღი	ობიექტის დასახელება		შემოწმებელის თანამდებობა, სახელი, გვარი		დასრულების თარიღი
1						
2						
3						
ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების ჩასატარებელი ტრენინგი						
n.	ტრენინგის დასახელება			მსმენელის რაოდენობა	ხანგრძლივობა (საათი)	
1						
განხილვის თემა						

ჩასატარებელი შრომის უსაფრთხოებს შეხვედრები/თათბირები			
n.	შეხვედრის თემა	მსმენელის რაოდენობა	ხანგრძლივობა (საათი)
1			

მომდევნო თვის შემუშავებული ან დანერგილი ღონისძიებები უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისათვის	
1	
2	
3	
4	

პროფესიების და სამუშაოების ჩამონათვალი, რომლებსაც მოეთხოვებათ დამატებითი შრომის უსაფრთხოების ნორმები.

1. ლოკომოტივების, ძრავა-ვაგონიანი მოძრავი შემადგენლობის, ავტომოტრისების, დრეზინების, ძრავამავლების, თვითმავალი ამწეების და სარკინიგზო სვლის მანქანების ტექნიკური მომსახურეობა და ექსპლუატაცია;
2. მატარებლების მიღება და გაგზავნა, მათი გაცილება და სამანევრო სამუშაოები. ვაგონების კომერციული შემოწმება.
3. სადგურის ლიანდაგებში, ტექნიკური მომსახურეობის პუნქტებში და ვაგონების გადაზიდვებისათვის გამზადების პუნქტებში ვაგონების დათვალიერება და მიმდინარე შეკეთება.
4. რკინიგზის ლიანდაგების და ნაგებობების შეკეთება და მიმდინარე მოვლა-შენახვა.
5. ელექტრიფიცირებული რკინიგზის საკონტაქტო ქსელის და ელექტრომომარაგების სხვა მოწყობილობების ტექნიკური მომსახურეობა, შეკეთება, გამოცდა.
6. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის, ბლოკირებისა და კავშირგაბმულობის საველე და სახაზო მოწყობილობების ექსპლუატაცია და მომსახურეობა.
7. 1,5 მეტრზე მეტი სიღრმის ტრანშეის, ქვაბულის, ჭების ხელით თხრა და გამაგრება.
8. 500 კილოგრამზე მძიმე დანადგარების მონტაჟი და დემონტაჟი.
9. სატაკელაჟო სამუშაოები, მძიმეწონიანი და დიდგაბარიტიანი ტვირთის გადაადგილება ტვირთამწე საშუალებების არქონის დროს.
10. დატვირთვა-დაცლის სამუშაოების შესრულება სატრანსპორტო და ტვირთამწე მანქანების გამოყენებით, ერთდროულად ორი ამწეთი ტვირთის აწევა და გადაადგილება.
11. ტრანსპორტზე დატვირთვა-დაცლის სამუშაოები, რომელსაც ასრულებენ ამ სამუშაოებზე დროებით განწესებული მუშები.
12. სპეციალური, ჩამოსხმის მექანიზირებული საშუალებებით და ჩამოსასხმელი მოწყობილობებით აღჭურვილი ესტაკადის არ არსებობისას რკინიგზის ცისტერნებიდან, მუავების, ტუტეების, ადვილადაალებადი და აგრესიული სითხეების ჩამოსხმის სამუშაოები. სამუშაოები ეთილირებული ბენზინის გამოყენებით.
13. ძლიერმომქმედი შხამების მიღება, ტრანსპორტირება და განადგურება.
14. ფეთქებადსაშიში, შეკუმშულ გაზებიანი, მუავებიანი, ტუტეებიანი და სხვა საფრთხეშემცველი ტვირთის მიღება და ტრანსპორტირება.
15. ტრანშეებში, ჭებში, გვირაბებში, შახტებში და დახურულ სივრცეებში მუშაობა.
16. ენერგეტიკული ქსელის ზონაში მიწის სამუშაოების შესრულება.
17. მოწყობილობების (კიბეების, ხარაჩოების, ხიდქვეშების, მოხარაჩოების არაინვენტარული საშუალებების და სხვა მოწყობილობების) გამოყენებით სარემონტო, სამონტაჟო და სხვა სახის სამუშაოები, სახურავის გადმოთოვლის სამუშაოები, სამაღლივო სამუშაოები.
18. შენობების და ნაგებობების დაშლის, ასევე შენობების და ნაგებობების ავარიული ნაწილების და ელემენტების გამაგრების სამუშაოები.
19. ელექტროგადამცემი ხაზების სიახლოვეს (30 მეტრზე ახლოს) სამუშაოების წარმოება.

20. აგრესიული, ტოქსიკური, ადვილადაღებადი და დაბალადუღებადი გაზების და სითხეების მილგაყვანილობაზე და ჭურჭელზე საშემდუღებლო სამუშაოები.
21. ტვირთამწე მექანიზმების სავალი ლიანდაგების ექსპლუატაცია, ტექნიკური მომსახურება, მონტაჟი-დემონტაჟი, რემონტი და გამოცდა.
22. გათბობის სეზონზე თბური ქსელების რემონტი.
23. სამუშაოების ჩამოკიდებული საკიდელადან შესრულება.
24. სამუშაოები ფეთქებადი და რადიოაქტიული საშუალებების გამოყენებით.
25. მისაჭედი სამუშაოები, რომელიც სრულდება მისაჭედი დამბაჩით.
26. ტოქსიკური და აგრესიული ნივთიერებების სისტემაზე სარემონტო სამუშაოები.
27. სამრეწველო სადინარების სისტემების გაწმენდა და რემონტი.
28. ქიმიური ლაბორატორიების, ძლიერმომქმედი შხამების საწყობის, გაღვანური უბნების (საამქროების) ჰაერმიმწოდების, ფილტრების და გამწოვი სისტემის ვენტილატორების გაწმენდის და რემონტის სამუშაოები.
29. წნევის ქვეშ მომუშავე ჭურჭლების ჰიდრავლიკური და პნევმატიკური გამოცდის ჩატარება.
30. საქვაბე დანადგარების ექსპლუატაცია. ქვაბების, გაზგამტარების და საქვაბე დანადგარების სხვა მოწყობილობების რემონტი და წმენდა.
31. სტაციონალური და გადასატანი აცეტილენის აგრეგატების რემონტი.
32. ცისტერნების შიგნით, ნავთობპროდუქტებიანი, ფეთქებადსაშიში და მომწამვლელი ნივთიერებიანი ჭურჭლის დათვალიერების, გაწმენდის და რემონტის სამუშაოები.
33. ელექტროტექნიკური პერსონალის მიერ შესასრულებელი სამუშაოები, მუდმივი დენის 50 ვოლტის და მეტი, ცვლადი დენის 120 ვოლტი და მეტი სიდიდის ძაბვის მქონე მოქმედი ელექტროდანადგარების ოპერატიული მომსახურება და რემონტი, ასევე შესასრულებელი სამონტაჟო და გასაწყობი სამუშაოები, ამ დანადგარების გამოცდები და გაზომვების ჩატარება.
34. რკინიგზაზე მარცხის და ავარიის შედეგების ლიკვიდაცია.
35. საფრთხეშემცველი ტვირთების საავარიო სიტუაციების ლიკვიდაცია.
36. ხანძრის ქრობა.
37. ხის გაჟღენთვა ანტისეფტიკური მასალით, ახალგაჟღენთილი ხის შპლების დატვირთვა - დაცლა.
38. რკინიგზის ელექტრომოდრავი შემადგენლობის ელექტრო მოწყობილობის რემონტი და გამოცდა.
39. ვაგონების და კონტეინერების კომერციული უწყესივრობების აღმოფხვრის სამუშაოები.
40. სალიანდაგო-სამშენებლო მანქანების ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება.
41. ელექტრო და გაზსაშემდუღებლო სამუშაოები.
42. იონიზირებადი გამოსხივების მქონე დანადგარებზე მუშაობა.

სამუშაოზე დაშვების ღონისძიებების კონტროლის პირადი ბარათი			
სახელი, გვარი			
პროფესია თანამდებობა			
სამსახურში მიღების თარიღი		ბრძანების ნომერი	
სამედიცინო შემოწმების თარიღი			
კადრების უფროსის ხელმოწერა			
შესავალი ინსტრუქტაჟის ჩატარების თარიღი			
ინსტრუქტორის ხელმოწერა			
მსმენელის ხელმოწერა			
ინდივიდუალური დაცვის საშუალების გაცემის თარიღი			
საწყობის გამგის ხელმოწერა			
ქვედანაყოფის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, ხელმოწერა.			
სტაჟირების დაწყების თარიღი		სტაჟირების დასრულების თარიღი	
დამოუკიდებლად სამუშაოზე დაშვების თარიღი			

დანართი 9.



დანართი 9 - 10.

განწესი-დაშვების წესი

სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები არიან:

- ა) განწესის ან განკარგულების გამცემი;
- ბ) სამუშაოს ხელმძღვანელი;
- გ) სამუშაო ადგილის მომზადებისა და დაშვების ნებართვის გამცემი;
- დ) სამუშაო ადგილის მომზადებული და დამშვები;
- ე) სამუშაოს მწარმოებელი;
- ვ) მეთვალყურე;
- ზ) ბრიგადის წევრები.

2. განწესის, განკარგულების გამცემი განსაზღვრავს სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს, პასუხს აგებს მათ სისწორესა და საკმარისობაზე, ბრიგადის შემადგენლობის რაოდენობასა და კვალიფიკაციის დონეზე, პასუხისმგებელი პირების დანიშვნაზე, აგრეთვე განწესში შეყვანილი მუშაკების უსაფრთხოების ჯგუფების შესაბამისობაზე შესასრულებელ სამუშაოსთან.

3. განწესისა და განკარგულების გაცემის უფლება ენიჭებათ:

- ა) უსაფრთხოების V ჯგუფის მქონე პირებს ორგანიზაციის ადმინისტრაციულ-ტექნიკური და სტრუქტურული ქვედანაყოფების პერსონალიდან;
- ბ) ავარიის აღმოფხვრისა და მისი შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების საწარმოებლად, განწესის გაცემაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ადგილზე არყოფნის შემთხვევაში, განწესი ან განკარგულება დასაშვებია გასცეს მოცემული ელექტროდანადგარების მომსახურე უსაფრთხოების IV ჯგუფის მქონე ოპერატიულმა პერსონალმა, რომლებზეც აღნიშნული უფლება გაფორმებულია ორგანიზაციის ხელმძღვანელის წერილობითი განკარგულებით.

4. სამუშაოს ხელმძღვანელი, როგორც წესი, ინიშნება 1000 ვოლტზე მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარებში მუშაობისას. 1000 ვოლტამდე ძაბვის ელექტროდანადგარებში სამუშაოს ხელმძღვანელი, როგორც წესი, არ ინიშნება.

5. სამუშაოს ხელმძღვანელი პასუხს აგებს განწესში მითითებული უსაფრთხოების ღონისძიებების სრული მოცულობით შესრულებაზე, მის მიერ დამატებით განხორციელებულ უსაფრთხოების ღონისძიებებზე, ბრიგადისათვის მის მიერ, აგრეთვე დამშვებისა და სამუშაოს მწარმოებლის მიერ ჩატარებული მიზნობრივი ინსტრუქტაჟის სისრულეზე და ხარისხზე, აგრეთვე უსაფრთხო მუშაობის ორგანიზებაზე.

6. სამუშაოს ხელმძღვანელად ინიშნება უსაფრთხოების V ჯგუფის მქონე პირი ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალიდან. იმ შემთხვევაში, როცა ცალკეული სამუშაოები (სამუშაოს ეტაპები)

დანართი 9.

აუცილებელია შესრულდეს სამუშაოს ხელმძღვანელის ზედამხედველობით და მართვით, განწესის გამცემმა უნდა გააკეთოს ჩანაწერი აღნიშნულის თაობაზე განწესის სტრიქონში – „ცალკეული მითითებები“.

7. სამუშაოს ხელმძღვანელი ინიშნება სამუშაოებზე, რომლებიც სრულდება:

- ა) მექანიზმების და ტვირთამწე მანქანების გამოყენებით;
- ბ) ელექტრომოწყობილობების გამორთვით (გარდა სამუშაოებისა ელექტროდანადგარებში, სადაც ძაბვა მოხსნილია ყველა დენგამტარი ნაწილიდან), ელექტრული მიერთებების მარტივი და თვალსაჩინო სქემის ელექტროდანადგარებში, ელექტროძრავებზე და მათ მიერთებებზე გმ-ში);
- გ) სკეებ-ებს და სკვებ-ებზე კომუნიკაციების განლაგებისა და ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის ზონებში;
- დ) მრავალჯაჭვა სეგბ-ის გამორთულ ჯაჭვზე, თუ ჯაჭვები განლაგებულნი არიან ერთი მეორის ზემოთ ან იმ შემთხვევებში, როცა ჯაჭვების რაოდენობა 2-ზე მეტია და მათგან ერთი ან ყველა დანარჩენი რჩება ძაბვის ქვეშ;
- ე) სეგბ-ის სხვა სეგბ-თან ან სატრანსპორტო მაგისტრალთან გადაკვეთის ადგილებში, ღმ-ში სადენების გადაკვეთის მალებში;
- ვ) ყველა ტიპის ანძის მონტაჟის, დემონტაჟის და ცალკეული ელემენტების შეცვლისას;
- ზ) ახლად აშენებული საჰაერო ხაზის ჩართვისას;
- თ) სეგბ-ის სადენების და გვარლების მიერთებების სქემის შეცვლისას;
- ი) ერთ ელექტროდანადგარზე ორი ან მეტი ბრიგადის ერთდროული მუშაობისას;
- კ) საჰაერო ხაზის ფაზობრივი რემონტის დროს;
- ლ) ინდუცირებული ძაბვის ქვეშ მუშაობის დროს;
- მ) დენგამტარ ნაწილებზე ძაბვის მოუხსნელად ადამიანის იზოლაციით მიწიდან;
- ნ) დტმს-ის მოწყობილობებზე და დანადგარებზე საანძო გადასასვლელების მოწყობისას, სკვბ-ის გამოცდისას; მომსახურების გარეშე გამამლიერებელი პუნქტების (რეგენერაციის პუნქტების) აპარატურაზე და მიერთებების ფილტრებზე კავშირის კონდენსატორის დამამიწებელი დანის ჩაურთველად მუშაობისას.
- ო) სამუშაოს ხელმძღვანელის დანიშვნის აუცილებლობას განსაზღვრავს განწესის გამცემი, რომელსაც უფლება აქვს სამუშაოს ხელმძღვანელი დანიშნოს ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოების გარდა სხვა სამუშაოებზეც.

8. სამუშაო ადგილის მომზადებისა და დაშვების ნებართვის გამცემი პასუხისმგებელია ელექტროდანადგარებზე, რომლებზეც გათვალისწინებულია მუშაობა, გამორთვების სისწორესა და დამიწებების საკმარისობაზე და მათი განხორციელების შესაძლებლობაზე, აგრეთვე დასაშვები ბრიგადებისათვის დროის და სამუშაო ადგილის განსაზღვრაზე და კოორდინაციაზე.

დანართი 9.

- ა) სამუშაო ადგილის მომზადებისა და დაშვების ნებართვის გამცემი ვალდებულია დამშვებს ან სამუშაო ადგილის მომზადებელს ოპერატიულ-სარემონტო პერსონალიდან აცნობოს მოწყობილობების გამორთვისა და დამიწების წინასწარ განხორციელებული ოპერაციების შესახებ;
- ბ) სამუშაო ადგილის მომზადებისა და დაშვებაზე ნებართვის გაცემის უფლება აქვს უსაფრთხოების IV ჯგუფის მქონე პირს ზემდგომი ოპერატიული პერსონალიდან, აგრეთვე პირებს ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალიდან, რომელთაც აღნიშნული უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ ორგანიზაციის ხელმძღვანელობის წერილობითი განკარგულებით.

9. დამშვები პასუხს აგებს განხორციელებული გამორთვებისა და გატარებული უსაფრთხოების ღონისძიებების სისწორესა და საკმარისობაზე, სამუშაო ადგილთან, სამუშაოს ხასიათთან და განწესში მითითებულ ღონისძიებებთან მათ შესაბამისობაზე, სამუშაოზე სწორად დაშვებაზე, აგრეთვე მის მიერ ბრიგადის წევრებისათვის ინსტრუქტაჟის სრულად და ხარისხიანად ჩატარებაზე.

10. სამუშაოს მწარმოებელი პასუხისმგებელია:

- ა) მომზადებული სამუშაო ადგილის შესაბამისობაზე განწესში მითითებულთან და სამუშაოს შესრულების პირობებიდან გამომდინარე მის მიერ განხორციელებულ უსაფრთხოების დამატებით ღონისძიებებზე;
- ბ) ბრიგადის წევრებთან ინსტრუქტაჟის მკაფიოდ და სრულად ჩატარებაზე;
- გ) აუცილებელი დამცავი საშუალებების, ინვენტარის, ინსტრუმენტების და სამარჯვების გამართულობაზე და სწორად გამოყენებაზე;
- დ) სამუშაო ადგილზე შემოღობვების, უსაფრთხოების პლაკატებისა და ნიშნების, დამიწებების, ჩამკეტი მოწყობილობების დაცულობაზე;
- ე) სამუშაოს უსაფრთხოდ ჩატარებაზე და ბრიგადის წევრებისა და მის მიერ წინამდებარე წესების დაცვაზე;
- ვ) ბრიგადის წევრებზე მუდმივი კონტროლის განხორციელებაზე.
- ზ) ელექტროდანადგარებში განწესით სამუშაოს მწარმოებელს უნდა ჰქონდეს ელექტროუსაფრთხოების IV ჯგუფი.
- თ) ელექტროდანადგარებში სამუშაოს მწარმოებელს, რომელიც სამუშაოს განკარგულების საფუძველზე ასრულებს, შეიძლება ჰქონდეს უსაფრთხოების III ჯგუფი.

11. მეთვალყურე ინიშნება ისეთი ბრიგადების ზედამხედველობისათვის, რომლებსაც არა აქვთ ელექტროდანადგარებში დამოუკიდებლად მუშაობის უფლება. მეთვალყურე პასახისმგებელია:

- ა) მომზადებული სამუშაო ადგილის შესაბამისობაზე განწესში მითითებულთან;
- ბ) სამუშაო ადგილზე დაყენებული დამიწებების, შემოღობვების, პლაკატების და უსაფრთხოების ნიშნების, ამძრავების ჩამკეტი მოწყობილობების არსებობასა და დაცულობაზე;
- გ) ბრიგადის წევრების ინსტრუქტაჟის მკაფიოდ და სრულად ჩატარებაზე;

დანართი 9.

დ) ბრიგადის წევრების უსაფრთხოებაზე ელექტროდანადგარების ელექტრული დენით გამოწვეული დაზიანებისაგან;

ე) მეთვალყურედ შეიძლება დაინიშნოს უსაფრთხოების III ჯგუფის მქონე მომუშავე.

12. ბრიგადის ყველა წევრის სამუშაოს ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია ბრიგადის ხელმძღვანელი, რომელიც ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე წესები, შრომის დაცვის ინსტრუქციები და სამუშაოზე დაშვების წინ და მუშაობის დროს მიღებული ინსტრუქტაჟის მოთხოვნები, მუდმივად უნდა იმყოფებოდეს სამუშაო ადგილზე. მისი გვარი აღინიშნება განწესის სტრიქონში „ცალკეული მითითებანი“.

13. განწესის ან განკარგულების გაცემაზე, სამუშაოს ხელმძღვანელობაზე, სამუშაოს წარმოებაზე (მეთვალყურეობაზე), დაშვებაზე, აგრეთვე ელექტროდანადგარების ერთპიროვნულ დათვალიერებაზე, ოპერატიული გადართვების წარმოებაზე და ოპერატიულ მოლაპარაკებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის მინიჭებული უფლებები გაფორმებული უნდა იყოს ორგანიზაციის ხელმძღვანელობის წერილობითი განკარგულებით.

14. დასაშვებია პასუხისმგებელ პირთა მოვალეობებიდან ერთ-ერთის შეთავსება ცხრილი №2-ის შესაბამისად.

ა) დამშვებმა ოპერატიულ-სარემონტო პერსონალიდან შეიძლება შეასრულოს ბრიგადის წევრის მოვალეობა;

ბ) ყველა დონის ძაბვის სეგზ-ზე დასაშვებია სამუშაოს ხელმძღვანელმა ან სამუშაოს მწარმოებელმა სარემონტო პერსონალის შემადგენლობიდან შეითავსოს დამშვების მოვალეობა იმ შემთხვევებში, თუ სამუშაო ადგილის მოსამზადებლად საჭირო არ არის საკომუტაციო აპარატებით ოპერირება და საკმარისია ძაბვის არარსებობის შემოწმება და გადასატანი დამიწების დაყენება.

განწესით სამუშაოთა ორგანიზების წესი

1. განწესი დგება ორ ეგზემპლარად, ხოლო ტელეფონით ან რადიოკავშირით გადაცემის დროს – სამ ეგზემპლარად. ამ შემთხვევაში განწესის გამცემი განწესის ერთ ეგზემპლარს გამოწერს თავისთვის, ხოლო ტექსტის ტელეფონით ან რადიოგრამის სახით, ფაქსით ან ელექტრონული ფოსტით მიმღები პირი ავსებს განწესის ორ ეგზემპლარს და უკუშემოწმების შემდეგ განწესის გამცემის ხელმოწერის ადგილზე მიუთითებს განწესის გამცემის გვარს და ინიციალებს, ხოლო ჩანაწერის სისწორეს დაამოწმებს თავისი ხელმოწერით. იმ შემთხვევაში, როცა სამუშაოს მწარმოებელი ინიშნება ამავე დროს დამშვებად, განწესი, მიუხედავად მისი გაცემის ფორმისა, გაიცემა ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება განწესის გამცემთან. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით (სადისპეტჩერო პუნქტის განლაგება) განწესის ერთი ეგზემპლარი შეიძლება დარჩეს სამუშაო ადგილის მომზადებისა და დაშვების ნებართვის გამცემ პირთან (დისპეტჩერთან).

2. სამუშაოს ხელმძღვანელზე გასაცემი განწესების რაოდენობას განსაზღვრავს განწესის გამცემი. დასაშვებია დამშვებზე და სამუშაოს მწარმოებელზე (მეთვალყურეზე) გაცემულ იქნეს ერთდროულად რამდენიმე განწესი და განკარგულება, იმ პირობით, რომ ყველა მომდევნო სამუშაოზე დაშვება განხორციელდება წინა სამუშაოს დამთავრების შემდეგ (განწესის, განკარგულების დახურვის შემდეგ).

3. განწესის გაცემა ნებადართულია მუშაობის დაწყებიდან არაუმეტეს 5 კალენდარული დღის ვადით. განწესი შეიძლება გაგრძელდეს ერთხელ მაქსიმუმ 5 კალენდარული დღით. მუშაობაში

დანართი 9.

იძულებითი შესვენების დროს (მარაგნაწილების, დამცავი საშუალებების, მასალის მიწოდების შეფერხება) განწესი რჩება ძალაში (ვადები არ იცვლება).

4. განწესის ვადის გაგრძელება შეუძლია მის გამცემს ან სხვა მომუშავეს, რომლებსაც აქვს ამ ელექტროდანადგარში განწესის გაცემის უფლება. ნებართვა განწესის გაგრძელებაზე შეიძლება გადაეცეს ტელეფონით, რადიოკავშირით ან შიკრიკის მეშვეობით დამშვებს, სამუშაოს ხელმძღვანელს ან სამუშაოს მწარმოებელს, რომელიც განწესში თავისი ხელმოწერის შემდეგ მიუთითებს განწესის ვადის გაგრძელებაზე ნებართვის გამცემი პირის გვარს და ინიციალებს.

5. განწესი მთლიანად დამთავრებულ სამუშაოზე ინახება 30 დღე-ღამის განმავლობაში, რის შემდეგ შეიძლება მისი განადგურება. თუ განწესით სამუშაოს შესრულებისას ადგილი ჰქონდა ავარიას, ინციდენტს ან უბედურ შემთხვევას, მაშინ ეს განწესი ინახება ორგანიზაციის არქივში გამოკვლევის მასალებთან ერთად.

6. 1000 ვოლტზე მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარებში, სადაც ყველა დენგამტარი ნაწილებიდან, მათ შორის, სეგზ-ის და სკეგზ-ის გამომყვანებიდან მოხსნილია ძაბვა და ჩაკეტილია შესასვლელი მეზობელ ელექტროდანადგარებში (ანაკრებები და ფარები 1000 ვოლტამდე შესაძლებელია დარჩეს ძაბვის ქვეშ), დასაშვებია გაიცეს ერთი განწესი ყველა მიერთებაზე ერთდროული მუშაობისათვის. 1000 ვოლტამდე ძაბვის ელექტროდანადგარებში ყველა დენგამტარ ნაწილებზე ძაბვის მთლიანი მოხსნით დასაშვებია გაიცეს ერთი განწესი გმ-ის შემკრებ სალტებზე, გამანაწილებელ ფარებზე, ანაკრებებზე, აგრეთვე ამ დანადგარების ყველა მინაერთზე სამუშაოების ერთდროულად შესასრულებლად.

7. ერთი განწესი სამუშაოთა ერთდროული ან რიგრიგობით შესრულებისათვის რამდენიმე მიერთების სხვადასხვა სამუშაო ადგილზე შეიძლება გაიცეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) ძალოვანი და საკონტროლო კაბელების ჩაწყობისა და გადაწყობისას, ელექტროდანადგარების გამოცდებისას, რელეური დაცვების, გაზომვების, ბლოკირებების, ელექტროავტომატიკის, ტელემექანიკის, კავშირგაბმულობის მოწყობილობების და ა.შ. შემოწმებისას;

ბ) ერთი მიერთების საკომუტაციო აპარატების შეკეთებისას, მათ შორის, როცა მათი ამძრავები იმყოფება სხვა სათავსში;

გ) ცალკეული კაბელების შეკეთებისას გვირაბში, კოლექტორში, ჭაში, არხში, ტრანშეაში, ქვაბულში;

დ) კაბელების (არაუმეტეს ორისა) შეკეთებისას, რომელიც სრულდება ორ ქვაბულში ან გმ-ში და გვერდით ქვაბულში, როდესაც სამუშაო ადგილების განლაგება საშუალებას აძლევს სამუშაოს მწარმოებელს განახორციელოს ბრიგადის ზედამხედველობა;

ე) ნებადართულია ბრიგადის წევრების გადანაწილება სხვადასხვა სამუშაო ადგილზე, განწესში ერთი სამუშაო ადგილიდან მეორეზე გადაყვანის გაფორმების გარეშე.

ვ) ბრიგადის წევრების სხვადასხვა სამუშაო ადგილებზე გადანაწილების შემთხვევაში დასაშვებია ბრიგადის უსაფრთხოების III ჯგუფის მქონე ერთი ან რამდენიმე წევრის სამუშაოს მწარმოებლისაგან დამოუკიდებლად (განცალკევებით) ყოფნა;

ზ) ბრიგადის წევრები, რომლებმაც უნდა იმუშაონ სამუშაოს მწარმოებლისაგან დამოუკიდებლად, ამ უკანასკნელმა უნდა მიიყვანოს სამუშაო ადგილზე და ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების ღონისძიებებზე.

8. დასაშვებია ერთი განწესის გაცემა რამდენიმე ქვესადგურზე ან ერთი ქვესადგურის რამდენიმე მინაერთზე ერთი ტიპის სამუშაოების რიგრიგობით შესასრულებლად. ასეთ სამუშაოებს განეკუთვნება: იზოლატორების წმენდა, კონტაქტური შეერთებების (მომჭერების) დაჭიმვა, ზეთის სინჯის აღება და დამატება, ტრანსფორმატორების გრაგნილების განშტოებების გადართვა, რელეური დაცვის, ელექტროავტომატიკის მოწყობილობების, მზომი ხელსაწყოების შემოწმება, გარე წყაროდან ამალღებული ძაბვით გამოცდა; იზოლატორების შემოწმება მზომი შტანგით, სკეგზ-ზე დაზიანების ადგილის მოძებნა. ასეთი განწესის მოქმედების ვადაა ერთი დღე-ღამე. დაშვება თითოეულ სამუშაო

დანართი 9.

ადგილზე ფორმდება განწესის შესაბამის გრაფაში. ძაბვის მიწოდება თითოეული ქვესადგურისათვის დასაშვებია მხოლოდ ამ ქვესადგურზე განწესით გათვალისწინებული სამუშაოების მთლიანად დამთავრების შემდეგ.

9. ბრიგადის შემადგენლობის შეცვლის უფლება ეძლევა განწესის გამცემს ან სხვა მომუშავეს, რომელიც უფლებამოსილია მოცემულ ელექტროდანადგარებში განწესის გაცემაზე. მითითება ბრიგადის შემადგენლობის შეცვლაზე შეიძლება გადაეცეს ტელეფონით, რადიოთი ან შიკრიკის ხელით. დამშვები, სამუშაოს ხელმძღვანელი ან სამუშაოს მწარმოებელი (მეთვალყურე) განწესში თავისი ხელმოწერით ჩაწერს იმ პირის გვარს და ინიციალებს, რომელმაც გასცა მითითება ცვლილების შეტანის შესახებ. ამასთანავე, ბრიგადის შემადგენლობის შეცვლის დროს არ უნდა დაირღვეს წესების მე-13 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტების მოთხოვნები. სამუშაოს მწარმოებელი ვალდებულია ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი ბრიგადის შემადგენლობაში ახლად შეყვანილ პირებს.

10. სამუშაოს ხელმძღვანელის ან სამუშაოს მწარმოებლის, აგრეთვე ბრიგადის შემადგენლობის ნახევარზე მეტის შეცვლის შემთხვევაში განწესი უნდა გაიცეს ხელახლა.

11. აკრძალულია სამუშაო ადგილების მომზადებისათვის განწესით გათვალისწინებული ღონისძიებების შეცვლა. ამასთანავე, სამუშაო ადგილის მომზადების ღონისძიებების არასაკმარისობასა და სისწორეზე, აგრეთვე სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების შესაძლებლობაზე დაეჭვების შემთხვევაში მომზადება უნდა შეწყდეს და სამუშაო გადაიდოს ახალი განწესის გაცემამდე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება აღძრული ეჭვის გამომრიცხავი ღონისძიებები.

სამუშაოს მწარმოებლის მიერ დამშვების მოვალეობის შეთავსების შემთხვევაში სამუშაო ადგილი მან უნდა მოამზადოს უსაფრთხოების III ჯგუფის მქონე ბრიგადის წევრთან ერთად.

1. დამშვები სამუშაოზე დაშვების წინ პირადი დათვალიერებით, ოპერატიულ ჟურნალში ჩანაწერით, ოპერატიული სქემით, ოპერატიული და ოპერატიულ-სარემონტო პერსონალის შეტყობინებით, უნდა დარწმუნდეს სამუშაო ადგილის მომზადების ტექნიკურ ღონისძიებათა შესრულებაში.
2. სამუშაოს ხელმძღვანელმა და სამუშაოს მწარმოებელმა (მეთვალყურემ) სამუშაოზე დაშვების წინ ადგილზე დამშვებთან ერთად უნდა გაარკვიონ, თუ რა ღონისძიებებია გატარებული სამუშაო ადგილის მომზადებისათვის და შეამოწმონ სამუშაო ადგილის მზადყოფნა. ოპერატიული პერსონალის ადგილზე არყოფნის შემთხვევაში სამუშაოს ხელმძღვანელმა და სამუშაოს მწარმოებელმა ოპერატიული პერსონალის ნებართვით შეიძლება დამოუკიდებლად მოამზადონ სამუშაო ადგილი.
3. დაშვება წარმოებს სამუშაო ადგილის მზადყოფნის შემოწმების შემდეგ. ამასთან, დამშვები ვალდებულია:
 - ა) შეამოწმოს ბრიგადის წევრების საკვალიფიკაციო მოწმობები და დაადგინოს შემადგენლობის შესაბამისობა განწესში ან განკარგულებაში მითითებულთან;
 - ბ) დაარწმუნოს ბრიგადა ძაბვის არარსებობაში დაყენებული დამიწების ჩვენებით, ან თუ სამუშაო ადგილიდან დამიწება არ ჩანს, ძაბვის არარსებობის შემოწმებით, ხოლო 35 კვ და დაბალი ძაბვის ელექტროდანადგარებში დენგამტარ ნაწილებზე ხელის შეხებით (სადაც ამის საშუალებას იძლევა კონსტრუქცია). შეხება უნდა მოხდეს ხელის მტყენის ზურგით.

დანართი 9.

4. განწესით და განკარგულებით სამუშაოს დაწყებას წინ უნდა უსწრებდეს მიზნობრივი ინსტრუქტაჟი, რომლის ჩატარების გარეშე აკრძალულია სამუშაოზე დაშვება. მიზნობრივი ინსტრუქტაჟი ითვალისწინებს მითითებებს კონკრეტული სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებაზე და მასში მონაწილეობს ყველა – განწესის, განკარგულების გამცემიდან ბრიგადის წევრებამდე.

5. განწესით მუშაობისას მიზნობრივ ინსტრუქტაჟს უტარებს:

ა) განწესის გამცემი – სამუშაოს ხელმძღვანელს ან, თუ სამუშაოს ხელმძღვანელი არ ინიშნება, სამუშაოს მწარმოებელს (მეთვალყურეს);

ბ) დამშვები – სამუშაოს ხელმძღვანელს, სამუშაოს მწარმოებელს (მეთვალყურეს) და ბრიგადის წევრებს;

გ) სამუშაოს ხელმძღვანელი – სამუშაოს მწარმოებელს (მეთვალყურეს) და ბრიგადის წევრებს;

დ) სამუშაოს მწარმოებელი (მეთვალყურე) – ბრიგადის წევრებს.

6. განკარგულებით მუშაობისას მიზნობრივ ინსტრუქტაჟს უტარებს:

ა) განკარგულების გამცემი – სამუშაოს მწარმოებელს (მეთვალყურეს) ან უშუალოდ სამუშაოს შემსრულებელს, დამშვებს;

ბ) დამშვები – სამუშაოს მწარმოებელს (მეთვალყურეს), ბრიგადის წევრებს (შემსრულებელს).

7. ბრიგადის შემადგენლობაში ახალი წევრის შეყვანის შემთხვევაში ინსტრუქტაჟს ატარებს სამუშაოს მწარმოებელი (მეთვალყურე).

8. განწესის ან განკარგულების გამცემმა, სამუშაოს ხელმძღვანელმა, სამუშაოს მწარმოებელმა (მეთვალყურემ) მიზნობრივ ინსტრუქტაჟში, გარდა ელექტროუსაფრთხოების საკითხებისა, უნდა მისცენ მკაფიო მითითებები სამუშაოს ტექნოლოგიურად უსაფრთხოდ წარმოების, ტვირთამწე მანქანების და მექანიზმების, ინსტრუმენტების და სამარჯვების გამოყენების თაობაზე. ამასთანავე, სამუშაოს მწარმოებელი (მეთვალყურე) მიზნობრივი ინსტრუქტაჟის ჩატარებისას ვალდებულია ბრიგადის წევრებს მისცეს ამომწურავი მითითებები, რომლებიც გამორიცხავენ ელექტრული დენით მარცხის შესაძლებლობას.

9. დამშვებმა მიზნობრივ, ინსტრუქტაჟისას ბრიგადის წევრებს უნდა გააცნოს განწესი, განკარგულების შინაარსი, უჩვენოს სამუშაო ადგილის საზღვრები, სამუშაო ადგილთან ახლოს განლაგებული მოწყობილობები, შეკეთებაში მყოფი და მეზობელი მიერთებების დენგამტარი ნაწილები, რომელთანაც მიახლოება აკრძალულია მიუხედავად იმისა, ძაბვის ქვეშ არიან ისინი თუ არა, დაუმტკიცოს ინდუცირებული ძაბვის არ არსებობა.

10. განწესით მუშაობისას მიზნობრივი ინსტრუქტაჟი უნდა გაფორმდეს ჩამტარებელი და მიმღები მომუშავეების ხელმოწერით ცხრილში „მიზნობრივი ინსტრუქტაჟის რეგისტრაცია პირველადი დაშვების დროს“

11. განკარგულებით მუშაობისას მიზნობრივი ინსტრუქტაჟი უნდა გაფორმდეს „განწესით და განკარგულებით შესასრულებელ სამუშაოთა აღრიცხვის ჟურნალის“ შესაბამის გრაფაში ინსტრუქტაჟის არსის მოკლედ გადმოცემითა და განკარგულების გამცემის (ინსტრუქტაჟის

დანართი 9.

ჩამტარებლის) და განკარგულების, ანუ ინსტრუქტაჟის მიმღები მომუშავეების (სამუშაოს მწარმოებელი, შემსრულებელი, დამშვეები) ხელმოწერით.

12. სამუშაოზე დაშვება ფორმდება განწესის ორივე ეგზემპლარში, რომელთაგან ერთი რჩება სამუშაოს მწარმოებელთან (მეთვალყურესთან), ხოლო მეორე – დამშვეებთან ოპერატიული ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალის შემადგენლობიდან.

ა) თუ სამუშაოს მწარმოებელი ითავსებს დამშვეების მოვალეობას, დაშვება ფორმდება განწესის ერთ ეგზემპლარში;

ბ) განკარგულებით სამუშაოზე დაშვება ფორმდება „განწესით და განკარგულებით შესასრულებელ სამუშაოთა აღრიცხვის ჟურნალში“ და ოპერატიულ ჟურნალში სამუშაოზე დაშვების შესახებ ჩანაწერით.

